

24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

ზვიად გამსახურდიას
იუბილე

A2



განხეთქილება
ბელარუსის
ოპოზიციანი

A7



G20-ის კომუნიკა
პრესაში გაჟონა

A8



ბარაკ ობამას შესანიშნავი თავბადასავალი

დავიდ ჯ. სიტი
სპეციალურად "24 საათისთვის"

მიმდინარე კვირა შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამასთვის მართაონული საგარეო პოლიტიკის კვირეულს წარმოადგენს. სწორედ ამ ექვსი დღით შეგვეძლება ვიმსჯელოთ, თუ როგორ აღიქმება ამერიკის საგარეო პოლიტიკა და რეალურად რის მიღწევას შეძლებს პრეზიდენტი თავისი მმართველობის ოთხნობიანი ვადაში.

გუშინ საღამოს ობამამ გეზი ლონდონისკენ აიღო. დღეს იგი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ გორდონ ბრაუნთან ერთად ისაუბრებს, შეხვედბა ჩინეთის პრეზიდენტ ჰუ ძინტაოს, რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევსა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ მანმოჰან სინგს. ამის შემდეგ კი ბარაკ ობამა "დიდი ოცულის" კოლეგებს შეუერთდება დედოფალ ელისაბედ II-ს ბუკინჰემის სასახლეში.

ბაზრქილება A3 გვირდვა



AFP - 2009

უმრავლესობა ოპოზიციას დილოგის თემებს სთავაზოვს

გიორგი ასანიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობა გამოთქვამს მზადყოფნას, ოპოზიციასთან და მის ყველაზე რადიკალურ ნაწილთან სამი უმნიშვნელოვანესი თემის ირგვლივ დაიწყოს დიალოგი. პირველი თემა შეეხება ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მეორე - ქვეყნის უსაფრთხოებას და ეროვნული ინტერესების დაცვას, ხოლო მესამე - დემოკრატიული პოლიტიკური რეფორმის განხორციელებას. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი გულისხმობს დიალოგს საკონსტიტუციო ცვლილებების, ახალი საარჩევნო კოდექსის შექმნის, სასამართლო რეფორმის და მედიის უფრო დე-

მოკრატიულად განვითარების საკითხებზე.

"რა თქმა უნდა, არ გვაქვს ილუზია, რომ ყველა საკითხზე შევძლებთ შეთანხმებას, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ თანამშრომლობით (და არა დაპირისპირებით), დიალოგით (და არა გათიშულობით), ერთად შენებით (და არა ნგრევით) შევძლებთ, გავამართლოთ ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ხალხის წინაშე გვაკისრია," - ნათქვამია საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებაში, რომელიც მისმა ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე გააცნო მედიას.

ბაზრქილება A3 გვირდვა

ეროვნული კრების ინიციატივა

ვერიკო თაყაიძე

გუშინ ვერის პარკში მდებარე კალათბურთის სასახლეში ის ოპოზიციური პარტიები შეიკრიბნენ, რომლებიც ეროვნული კრების ინიციატივით გამოდიან. ლონისძიების ორგანიზატორთა განმარტებით, ეროვნული კრების მისია ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანაში მდგომარეობს.

ეროვნული კრების ინიციატორია "ალიანსი თავისუფლებისთვის". ალიანსის ერთ-ერთ ლიდერ გია მასისაშვილის განმარტებით, როცა სახელმწიფო ინს-

ტიტუტები ვერ ახერხებენ ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანას, მაშინ ერის წიაღში ეროვნული კრების იდეა ჩნდება.

შეკრებას თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა. როგორც 24 საათს ხალხის პარტიის ლიდერმა კობა დავითაშვილმა განუცხადა, ეროვნული კრება საბოლოოდ 9 აპრილის აქციის შემდეგ დაფუძნდება.

ეროვნულ კრებას პოლიტიკური ძალების, საზოგადოების, ერის გამთლიანების მისია ეკისრება, - დასძინა დავითაშვილმა.

ბაზრქილება A2 გვირდვა

24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



24 საათი The New York Times Weekend

1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ელირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ელირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმოწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

- 1 წლით ----- 52 ლარი;
- 6 თვით ----- 26 ლარი;
- 3 თვით ----- 13 ლარი;
- 1 თვით ----- 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;

“ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს თავდაცვის სფეროში დაეხმარება”

ამერიკა საქართველოს თავდაცვის სფეროში წვრთნასა და შეიარაღებაში დაეხმარება, - ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა გიორგი ბარამიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. ბარამიძის თქმით, საქართველო, ამერიკასთან ერთად, სამხედრო სფეროში რეფორმებს განაგრძობს. ამ მიზნით პრეზიდენტ ობამასთან კონსულტაციების შედეგად საქართველოში ჩამოსულმა ამერიკის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის მეთაურის მოადგილემ, გენერალმა ჯიმს კარტრაიტმა საქართველოს შეიარაღებული ძალების შემდგომი მოდერნიზაციისა და განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთა. "იმ დახმარებებიდან გამომდინარე, რასაც ამერიკა საქართველოს უწევდა, ჩვენ გვქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ინდივიდუალური ჯარისკაცები საბაზისოდ, ხოლო შენაერთები კი სამშვიდობო ოპერაციებისთვის ყოფილიყვნენ მომზადებული. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ადრე უწევდა დახმარებას, თუმცა სხვა კუთხით. ახლა საუბარია ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვაზე," - განაცხადა ბარამიძემ.

ვიცე-პრემიერის თქმით, საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის კუთხით "საუბარია საქართველოს შეიარაღებული ძალების დახმარებაზე, წვრთნისა და შეიარაღების შესაბამის დოქტრინაზე." ამ საკითხებში ამერიკა საქართველოს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს. "საუბარია არა საბჭოთა იარაღზე, არამედ ნატო-ს სტანდარტების შესაბამის იარაღზე, რომელიც თავად ამერიკის სამხედროებს აქვთ. ეს არის ამერიკის თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს დაიწყო, ხოლო ობამას ადმინისტრაცია გადადგმული ნაბიჯებით კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო და ამერიკა სტრატეგიული პარტნიორები არიან და სამხედრო სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობის შედეგად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ადეკვატურად იქნება დაცული," - განაცხადა ბარამიძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

პლებისციტის შედეგები

ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესახებ პლებისციტის შუალედური შედეგების მიხედვით, შეკითხვას გამოკითხულთა უმეტესობამ დადებითად უპასუხა, - აცხადებენ ალიანსი საქართველოსთვის წევრები. პლებისციტის ფარგლებში სულ საარჩევნო უფლების მქონე 402 803 მოქალაქე გამოიკითხა. კითხვას - თანახმა ხართ თუ არა საქართველოში უახლოეს პერიოდში ჩატარდეს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები - 348509-მა მოქალაქემ ანუ 86,52 პროცენტმა დადებითი, 54394-მა გამოკითხულმა ანუ 13,48 პროცენტმა კი უარყოფითი პასუხი გასცა. თბილისის მასშტაბით პლებისციტში 175 999 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებში გამოკითხვა 226 804 ამომრჩეველი. შტაბების აქტივისტები გამოკითხვას, ძირითადად, კარდაკარ პრინციპით ახორციელებენ. ერთი კვირის განმავლობაში მათ საქართველოს ამომრჩეველთა, დაახლოებით, 35 პროცენტს მიაკითხეს.

პლებისციტის დღეისათვის არსებული შედეგების მიხედვით, საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეების უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოში უახლოეს პერიოდში უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და ამ გზით ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავლის მოძებნა, პრაქტიკულად, ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკური ნებაა, - აცხადებენ ალიანსში. აქვე აღინიშნავენ, რომ პლებისციტის შედეგების ამსახველი მასალები გაცნობა ახალი მემარჯვენეების ოფისში შეიძლება.

ინტერპრესნიუსი

ზაალ სამადაშვილი "უცნობის" ინტერვიუს ეხმაურება

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი რეალური შოუს "საკანი N5"-ის მთავარ გმირ გიორგი გაჩეჩილაძეს (უცნობს) ეხმაურება. საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, უცნობმა გაზეთ "ასავალ-დასავალისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 9 აპრილს თბილისში ყველაფერი პარალიზებული იქნება, ყველა მალაზია დაიხურება და თბილისი მკვდარ ქალაქად გადაიქცევა.

ზაალ სამადაშვილმა შემოფთობა გამოხატა აღნიშნული განცხადების გამო და განაცხადა, რომ თუკი თბილისი მკვდარ ქალაქად გადაიქცევა, ამით, პირველ რიგში, ხალხი დაზარალდება. "არ ვიცი, რომელ ქვეყანაში შეიძლება მოიქებნოს პოლიტიკური ჯგუფი, ხელისუფლებასთან თუნდაც უკიდურესად დაპირისპირებული, რომლის მიზანია, დედაქალაქი მკვდარ ქალაქს დაამსგავსოს. მე არ ვიცი, რა პასუხისმგებლობა გააჩნია ხალხის წინაშე პოლიტიკურ ძალას, რომელიც თბილისს ასეთ რამეს უქადის. უფიქრიათ თუ არა ამ ადამიანს და მის თანამოაზრეებს იმაზე, რომ თუკი თბილისი მკვდარ ქალაქად გადაიქცევა და არაფერი იმუშავებს, ამით, პირველ რიგში, ჩვენი ხალხი დაზარალდება. თბილისს და მის მოსახლეობას სჭირდება სიმშვიდე, სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ჩვენი მიზანია, რომ ამ საქმეს ვემსახუროთ," - განაცხადა ზაალ სამადაშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი

ეროვნული კრების ინიციატივა



მისი კომპილაციის ფორმი

გუშინდელ ღონისძიებაში ირაკლი ალასანიას წარმომადგენელიც მონაწილეობდა. **ჩვენ მხარს ვუჭერთ ხალხის, საზოგადოების გაერთიანებას**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ალიანსი საქართველოსთვის წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ.

საპარლამენტო ოპოზიცია ღონისძიებაზე მიწვეული არ ყოფილა, ვინაიდან ეროვნული კრების მხარდაჭერა შორის მხოლოდ ის პოლიტიკური ძალები არიან, რომლებიც ხელისუფლების გადადგომას უჭერენ მხარს. გუშინდელ შეკრებას საპარლამენტო ოპოზიციიდან მხოლოდ ჯონდი ბალათურია ესწრებოდა.

ეროვნული კრება ქვეყნისთვის ყველა საჭიროებო პრობლემაზე იმსჯელებს. იგი წარმომადგენლობითი ორგანო იქნება, მასში განვლენიანება ნებისმიერი პარტიის, საზოგადოების ამა თუ იმ ფენის წარმომადგენელს შეეძლება.

კრების საორგანიზაციო ჯგუფის წარმომადგენელ კონსტანტინე გამსახურდიას განმარტებით, პირველი საკითხი, რომელზეც ეროვნული კრება იზრუნებს, ხელისუფლების შეცვლის მიზნით 9 აპრილის აქციის მშვიდობიანი წარმართვაა.

დაფუნქციონირებს შემდეგ კრება ჩაა-

ტარებს არჩევნებს. კრებას არ ეყოლება ერთი კონკრეტული ხელმძღვანელი და თანასპიკერატის სისტემით იმუშავებს.

დასრულდა პარტიული ეგონიზმის ეპოქა. ერთად ვინცები საქართველოს გადარჩენას, ყველა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც ხელისუფლებაში მოვა, უნდა გაითვალისწინოს, რომ ერთპარტიულ მმართველობას ვეღარ დაამყარებთ, - დასძინა გამსახურდიამ.

კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურის განცხადე-

ბით, ხელისუფლებას არანაირი რესურსი არა აქვს, რომ ქვეყანა მართოს, შესაბამისად, ეროვნული კრების და სრულიად ოპოზიციის ძალისხმევით 9 აპრილი შედგება და ეს იქნება დღე ხელისუფლების დასასრულის დასაწყისისა.

თუ კრება შედგება ისეთ დონეზე, როგორც მის ინიციატორებს წარმოუდგენიათ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნისთვის. ეს იქნება ფორუმი ანუ კრებები რესურსი ქვეყანაში კრიზისის დასაძლევად, - ასეთია ლე-

ვან გაჩეჩილაძის პოზიცია.

გუშინდელი ღონისძიება ორგანიზატორებმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავს, ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის 18-ე წლისთავს დაამთხვეს. ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟიშვილის, ალიანსი თავისუფლებისთვის ერთ-ერთ ლიდერ კონსტანტინე გამსახურდიას წინადადებით, 31 მარტი საქართველოს ერთიანობის დღედ უნდა გამოცხადდეს.

ზვიად გამსახურდიას იუბილე

გუშინ საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 70 წელი შეუსრულდებოდა. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად საქართველოს მოსახლეობის 86-მა პროცენტმა 1991 წლის 26 მაისს აირჩია. სწორედ მის სახელს უკავშირდება ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმი ჩატარა. გუშინ ასევე აღინიშნა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის მე-18 წლისთავიც. რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა 3.302.302 კაცს (90,3 პროცენტი) შეადგენდა. მასში მონაწილეობდა სახმრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაც.

რეფერენდუმის შეკითხვას - "ხართ თუ არა თანახმა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მა-

ისი აქტის საფუძველზე?" - საქართველოს საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98 პროცენტმა (მათ შორის აფხაზეთმა და ოსებმა) დადებითი პასუხი გასცა. რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც მთელმა მსოფლიომ აღიარა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნების გამოვლინებად. ამის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

გუშინ დილიდან პირველი პრეზიდენტის საფლავზე როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების, ისე რიგითი მოქალაქეების ნაკადი არ წყდებოდა. პირველი პრეზიდენტის საფლავზე დედაქალაქის მერი გიგი უგულავა და თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანიც იმყოფებოდნენ. ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეზე თბილისში ჯოხარ დუღაევის

ვაჟი გეგი დუღაევიც ჩამოვიდა.

მიანშინდაზე ზვიად გამსახურდიას 70 წლის იუბილეს გამო მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღევლინა. საღმრთო ლიტურგია საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია II-მ აღავლინა. მთაწმინდის პანთეონში ზვიად გამსახურდიას მუდღეულო, შვილი გიორგი გამსახურდიას და ახლობლები შეიკრიბნენ.

"მინდა, მივულოცო მის ოჯახს და მთელ საქართველოს. ის იყო დიდი პიროვნება და ისტორია კიდევ ბევრს იტყვის მის შესახებ. დღემთა აცხობის მისი სული", - განაცხადა კათალიკოს პატრიარქმა ილია II-მ.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ახლად აღდგენილ ტაძარში (მე-9 საუკუნე) მისი ტერიტორიაზე ამ მოვლენისადმი მიძღვნილი წირვა ჩატარდა, რომელიც მამა კონსტანტინე აღავლინა. წირვისას მოიხსენიეს საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებული ეროვნული გმირები.

გუშინვე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის - "მრავალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" - პრეზენტაცია. წიგნის შემდგენელ-რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ეთერ მგალობლიძე.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით, ზვიად გამსახურდიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სუბტილო საღამო გაიმართა. საიუბილეო საღამოზე უჩვენეს ფილმი, რომელიც საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ეროვნული მოძრაობის ლიდერს, მეცნიერსა და მწერალს, მთარგმნელსა და საზოგადო მოღვაწე ზვიად გამსახურდიას ეძღვნება.

საკუთარი ინფორმაცია

საპარლამენტო ოპოზიცია რეფერენდუმის იდეას უზრუნდება

საც შენიშნავს, რომ თავის დროზე ოპოზიციას პარლამენტისთვის ბოიკოტი რომ არ გამოეცხადებინა, დღეს საკანონმდებლო ორგანოში 35 ოპოზიციონერი იქნებოდა და შესაბამისად, რეფერენდუმის საკითხის ინიცირება უპრობლემოდ მოხდებოდა.

მიუხედავად ამისა, ცვაგარევილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტში მინც აღმოჩნდება 30 ადამიანი, რომლებიც ქვეყნის ინტერესებს ვინაირ პარტიულ ინტერესებზე წინადაყენებენ და რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივას მხარს დაუჭერენ.

თუმცა, ერთი საკითხის ინიცირება და მეორე - მისი ბოლომდე მიყვანა. პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, თუ გიორგი ცვაგარევილი მოახერხებს 30 მხარდაჭერის პოვნას, პარლამენტის სპიკერი ვალდებულია, 20 დღის განმავლობაში დაიწყოს შემდგომი საკანონმდებლო პროცედურები, რაც ბოლოს კენჭისყრით უნდა დასრულდეს. შემდეგ კი აუცილებელია, რომ გადაწყვეტილებას დეპუტატების სიითმა უმრავლესობამ (76 პარლამენტარი) მისცეს ხმა, რათა იგი პრეზიდენტს გადაეგზავნოს ხელმოსაწერად. ასე რომ, თუ საკანონმდებლო ორგანოში პოლი-

ტიკური ძალთა ბალანსს გაითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, ცვაგარევილის ინიციატივა მკვდარდობილი იქნება.

საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე აღნიშნავს, რომ რეფერენდუმის დანიშნვა საკუთარი ნებით თავად პრეზიდენტსაც შეუძლია. მისი აზრით, ასეთი ქმედება განმუხტავს დაძაბულ სიტუაციას, გაანეიტრალებს სამოქალაქო დაპირისპირებას და შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი კონსენსუსის აღმოჩენა, ცვაგარევილი მოუწოდებს მიხეილ სააკაშვილს, რეფერენდუმი საკუთარი ნებით მანამდე დანიშნოს, "ვიდრე რუსთაველზე 200 ათასი კაცი შეიკრიბება და დაიწყებს სკანდირებას: "მიშა, წადი!"

თუმცა, დეპუტატს არ სჯერა, რომ პრეზიდენტი მის შეთავაზებას დათანხმდება. მით უმეტეს, რომ სულ რაღაც ერთი თვის წინ მიხეილ სააკაშვილს ანალოგიური მოთხოვნით ირაკლი ალასანიას პოლიტიკურმა გუნდმა უშედეგოდ მიმართა.

საპარლამენტო უმცირესობას წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ალასანიამ შეცდომა დაუშვა, როდესაც რეფერენდუმის ჩატარების იდე-

ას ბოლომდე არ მიჰყვა.

"კარგი იქნებოდა, ირაკლი ალასანიას თავისი წამოწყება ბოლომდე მიეყვანა. ვერ გეტყვით რისი, მაგრამ მას, ეტყობა, რაღაცის შეეშინდა. როგორც ჩანს, სხვა პოლიტიკურმა ძალებმა "ალიანსის" ლიდერები დააშანტაჟეს. არადა, ალასანიას 200 ათასი ხელმოწერა რომ შეეგროვებინა და ცესკო-ში სარეფერენდუმო ჯგუფი დაერეგისტრებინა, გარწმუნებთ, ეს პროცესი, საბოლოო ჯამში, მიხეილ სააკაშვილისთვის კატასტროფით დასრულდებოდა," - აცხადებს ცვაგარევილი.

გუშინდელ პრიფინგზე იგი 9 აპრილის თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ უკვე ჰქონდა საუბარი საპარლამენტო უმცირესობის რამდენიმე წარმომადგენელთან (მათ გვარებს ცვაგარევილი შეგებულად არ ასახელებს) და ისინი მზად არიან, საპროტესტო აქციამში მიიღონ მონაწილეობა.

"9 აპრილს ჩემი ხალხის გვერდით ვიქნები," - დასძენს ოპოზიციური ფრაქციის ვიცე-თავმჯდომარე.

გაზეთი "24 საათის" გამოცემის დაწყება. რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშვილი, პაბატა მუხამაძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღონისძიანი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ქალაქანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშვილი (რევიუ), ეკა ფარუშვილი (სპორტი). რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

პრობრისი ჩანაცვლების გარეშე

დიმიტრი ავალიანი

საქართველო ავღანეთში ასეულს გაგზავნის. ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ დადასტურდა ჰაავაში გამართულ წარმომადგენლობით საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ავღანეთს მიეძღვნა. კონფერენციაში მონაწილეობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმაც მიიღო. ევროპელი დიპლომატები აცხადებენ, რომ ავღანეთის საკითხში რუსეთთან თანამშრომლობა დასავლეთის საქართველოსადმი დამოკიდებულებას არ შეცვლის.

საერთაშორისო კონფერენციაში "ავღანეთი 2009" მონაწილეობა მიიღეს მრავალი ქვეყნის საგარეო უწყებების ხელმძღვანელებმა, ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ და გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა და პირისპირ შეხვედრებიც გამართა. მან ჰაავაში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო ავღანეთში ასეულს გაგზავნის. მისი თქმით, ამ თემაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება საფრანგეთთან, რომლის შეირაღებული ძალების შემადგენლობაშიც ქართული ქვედანაყოფი ავღანეთის ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობას. "მას შემდეგ, რაც საქართვე-

ლო ნატო-ს წევრობის კანდიდატი გახდა, საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ჩვენს ნილ პასუხისმგებლობას ყოველთვის ვიღებთ და ამიტომაც საქართველო გაგზავნის ავღანეთში ერთ ასეულს და გაზრდის მონაწილეობას სამოქალაქო პროექტებში, რომლებიც ავღანეთის ინფრასტრუქტურის აღდგენას ითვალისწინებს," - განაცხადა ვაშაძემ.

გუშინ, ჰაავის კონფერენციის ფარგლებში, ასევე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის შეხვედრა გაიმართა. დღეს ლონდონში აშშ-ს და რუსეთის პრეზიდენტები პირველ ოფიციალურ შეხვედრას გამართავენ. თბილისში აცხადებენ, რომ ამ შეხვედრაზე საქართველოს საკითხი აუცილებლად განიხილება.

კლინტონისა და ლავროვის გუშინდელი მოლაპარაკებები სწორედ ობამა-მედვედევის შეხვედრის მომზადებას მიეძღვნა. როგორც შეხვედრის შემდეგ ჰილარი კლინტონმა განაცხადა, "მოსარულები ვართ, რომ რიგ სადაო საკითხებში რუსეთთან პროგრესს მივაღწიეთ. ერთ-ერთი ასეთი საკითხი, რომელსაც პრეზიდენტები ხვალ განიხილავენ, ავღანეთია".

როგორც, თავის მხრივ, სერგეი ლავროვმა განაცხადა, კლინტონთან ერთად პრეზიდენტების მომავალი შეხვედრის მზადება განიხილეს. "ეს მათი პირველი შეხვედრაა და ჩვენ დავრწმუნდით, რომ

ის უმაღლეს დონეზე მომზადებული," - განაცხადა ლავროვმა.

კონფერენციაში მონაწილე ევროპელი დიპლომატების განცხადებით, იმის მიუხედავად, რომ რუსეთთან დიალოგი ავღანეთის პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია, დასავლეთი მოსკოვთან საქართველოს საკითხით ვაჭრობას არ აპირებს.

"ჩვენ ვთანამშრომლობთ რუსეთთან ავღანეთის საკითხებზე. ეს საკმაოდ კონსტრუქციული დიალოგია, რუსეთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა ავღანეთში სამხედრო ტვირთის შესატანად. მაგრამ, ეს ვერ ჩანაცვლებს იმ საკითხებს, რომლებზეც რუსეთს ვუპირისპირდებით," - განაცხადა შედეგით საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა ქართველ ყურნალებისტებთან საუბრისას.

ნატო-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიძემ აღნიშნა, რომ იმის მიუხედავად, რამდენად მნიშვნელოვანია რუსეთთან თანამშრომლობა ნატო-ს ავღანეთის ოპერაციისთვის, საქართველოსადმი ალიანსის დამოკიდებულება არ შეიცვლება.

"საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატო-ს წევრები, როდესაც ისინი ალიანსის სტანდარტებს მიაღწევენ. მართალია, ეს ნატო-ს პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ ეს ქვეყნები ალიანსის წევრები აუცილებლად გახდებიან," - აღნიშნა აპატურაიძე.

უმრავლესობა ოპოზიციას დიალოგის თემაზე სთავაზობს

სახელისუფლებო ფრაქციაში მიაჩნიათ, რომ საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობა. ცისკარიშვილის თქმით, დაპირისპირება, გათიშულობა და პოლიტიკური ექსტრემიზმი ქვეყანას მხოლოდ დასუსტებს და ხალხის ისედაც რთულ ყოფას კიდევ უფრო გაართულებს. საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებაში რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერების თემაზე ფიგურირებს.

"უახლესი ისტორიული გამოცდილებიდან ვიცით, რომ არსებობენ საზოგადოების ერთეული წევრები, ვინც საკუთარ შანსს მხოლოდ ქაოსში ხედავს. ამ ფაქტის პოლიტიზირებას და პოლიტიკურ ოპონენტებში შეთქმულების ძებნას არ ვაპირებთ, მაგრამ ყველაფერი უნდა გვაკეთოთ იმისთვის, რომ საზოგადოება დაცული იყოს და მშვიდ გარემოში ცხოვრების საშუალება მიეცეს," - აცხადებენ სახელისუფლებო ფრაქციის წარმომადგენლები.

მათივე თქმით, ცალკეული პოლიტიკოსების უპასუხისმგებლო განცხადებები და პოლიტიკური ექსტრემიზმი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის.

საპარლამენტო უმრავლესობის ბრიფინგს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრი დიმიტრი შაშკინიც ესწრებოდა, რომლის განცხადებითაც, დღეისთვის დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად მიმართავენ ოპოზიციის უკვე დაევზავნა.

შაშკინი აღნიშნავს, რომ დღევანდელ შეხვედრაზე მომზადდება კონკრეტული სქემა, რომლის

დეტალებზე საუბრისგანაც მინისტრი ჯერჯერობით თავს იკავებს.

ოპოზიციის კომენტარები

ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ოპოზიციას შორის დიალოგის დასაწყებად 9 აპრილის შტაბში შემავალი ოპოზიციური პარტიები გარკვეული წინაპირობის შექმნას ითხოვენ. კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ 24 საათთან საუბარში განმარტა: **იმისთვის, რათა ჩვენ ვნახოთ, რომ ხელისუფლება მართლაც არის განწყობილი დიალოგისთვის, გვჭირდება გარანტიები, რადგან ყველა წინა შემთხვევაში აშკარად გამოჩნდა, რომ ხელი-სუფლება ტყუოდა. ამიტომ ასეთი გარანტია შეიძლება იყოს ვანო მერაბიშვილის გადაყენება.** წინაპირობის შექმნის გარეშე ხელი-სუფლების მხრიდან დიალოგზე საუბარი კუკავამ იფხვანსიან მანიპულაციად შეაფასა. მან გაიხსენა 2008 წლის სექტემბერი, როცა აღნიშნულ საკითხებზე დიალოგს ოპოზიცია თვითონ სთხოვდა ხელი-სუფლებას, თუმცა კუკავას თქმით, ოპოზიციამ იმ დროს დიალოგის გამართვაზე მტკიცე უარი მიიღო. რაც შეეხება ხელისუფლების ამჟამინდელ შეთავაზებას, კონსერვატიული პარტიის წევრის აზრით, 9 აპრილს დანიშნულ აქციამდე რამდენიმე დღით ადრე მოლაპარაკებების ინიცირება საპროტესტო მოძრაობის ჩაშლისკენ არის მიმართული. კუკავას თქმით, ხელისუფლებასთან მხოლოდ რამდენიმე საკითხზე შეიძლება დიალოგის გამართვა. **მოლაპარაკებები უნდა წარიმართოს მხოლოდ საქართვე-**

ლოში ძალადობის გაღრმავების თავიდან აცილების საკითხზე, აგრეთვე იმისთვის, რომ ხელისუფლებამ მომიტინგეების წინააღმდეგ ძალა არ გამოიყენოს. სააკაშვილის გადადგომის შემთხვევაში კი - მისთვის უსაფრთხოების გარანტიების შექმნაზე, - განაცხადა კახა კუკავამ.

საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ოპოზიციასთან დიალოგისთვის დაყენებული თემები არაფრის-მომცემად მიაჩნია ალიანსის საქართველოსთვის. ალიანსის წევრმა, რესპუბლიკელმა დავით ზურაბიშვილმა 24 საათს დაუცხადა, რომ **მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გადალახვისა და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების შესახებ დიალოგი იმდენად ზოგადი თემებია, რომ ამ წინადადებას სერიოზულად მიღება კი არ შეიძლება. თუკი მათ რეალურად სურთ შედეგის მიღწევა, კონკრეტული თემები უნდა დაასახელონ,** - აღნიშნა დავით ზურაბიშვილმა. უმრავლესობის მიერ გუშინ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია მოლაპარაკებების გამართვა ახალი საარჩევნო კოდექსის შესახებაც. ამ საკითხზე საუბრისას ზურაბიშვილმა გაიხსენა ხელისუფლებასთან არსებული პრინციპული უთანხმოება, რაც ხელს უშლის დიალოგს. **მზად ვართ საარჩევნო კოდექსზე სასაუბროდ. მათაც ივანე ჩვენი წინადადებები, თუმცა ხელისუფლებას აქვს პირობა, რომ მოლაპარაკებები არ შეიძლება შეეხოს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას და სურთ, რომ დიალოგის პროცესი, დაახლოებით, 6 თვეს გაგრძელდეს. ასეთ წინადადებას, ბუნებრივია, ალიანსი არ დათანხმდება, რადგან ეს მხოლოდ დროის გაყვანის მცდელობაა,** - განაცხადა ზურაბიშვილმა.

ბარაკ ობამას შესანიშნავი თავბადასავალი

პირველი გვირგვინი

ოთხშაბათის ქარიშხალი წინაპირობაა და კარგად ხსნის ხუთშაბათს, "დიდი ოცეულის" სამიტიზე გლობალური დატოვების თემაზე.

ამის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნდებიან, რათა ობამას "დიდი ოცეულისა" და ნატო-ს სამიტებს შორის ორმხრივ შეხვედრებზე უმასპინძლონ. ნატო-ს სამიტი შაბათს სტრასბურგსა და კელშია დაგეგმილი. ევროკავშირის სამიტი კი კვირას პრაღაში გაიმართება. ობამა თავის საგარეო-პოლიტიკურ ტურნეს ორშაბათს თურქეთში ვიზიტით დაასრულებს.

ამ განრიგის გარეგანი ნიშნები არასერიოზულია. სატელევიზიო ვიდეოკამერები, ოფიციალური სადილები, საავტომობილო ესკორტები და ვერტიფერები, რაც "დიდი რვიანის" სამიტებზე დომინირებს, როგორც ჩანს, ყველა საერთაშორისო ფორუმის თანამდევნი ხდება. ყველაფერს უფრო პუბლიკისთვის განკუთვნილი ეფექტის ფორმა ექნება, ვიდრე რეალური დისკუსიის.

სწორედ ასეთია ის გარემო, რომელშიც ობამას პირველი საერთაშორისო ნაბიჯების გადადგმა მოუხდება.

მოდით, ვიქონით იმედი, რომ მას თან ახლავს კომპეტენტური ხალხის მრავალრიცხოვანი ამაღა, რომლებიც თვალყურს მიადევნებენ დღის ნუსრიეში შეტანილ ასობით საკითხს. პრეზიდენტი, უფრო ზუსტად კი მისი სატელევიზიო პერსონა, დეტალურზე უფრო მაღლა უნდა დადგეს და მან ყურადღება ექვს ძირითად მიზანზე გაამახვილოს.

1. ობამამ თავიდან უნდა აიცილოს შეერთებული შტატების მისამართით უსამართლო კრიტიკა. მწვავე მსოფლიო ვითარებამ ობამას ინაუგურაციის დროინდელი ღიმილიანი სახე იმაზე ადრე შექმუნა, ვიდრე ეს ამერიკის წინა პრეზიდენტების შემთხვევაში ხდებოდა. ძირითადად კრიტიკის საგანი ანგელა-საკსურნი ბიზნესის მოდელია, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკის ჭაობში ჩათრევას აპირებდნენ. შინ ობამა ამერიკული ბიზნესისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით მკაცრი და სამართლიანია. მსოფლიო ავანსცენაზე იგი ასეთივე შეუვალი უნდა იყოს, ხოლო თავკერძობა, სიჯი-უტე და სიბოიყვე თვალსაზრისად, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად სანაგვეზე უნდა აღმოჩნდეს არ შეცვლის. ობამამ შეხვედრაზე ნათლად უნდა მიახვედროს "დიდი ოცეულის" ლიდერები, რომლებიც მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 90 პროცენტზე შიან პასუხისმგებელი, რომ საჭირო დასრულდეს დადანიშნულების თამაში, თუკი მსოფლიო ეკონომიკის ტალახიდან ამოთრევა გვინდა.

2. ამ გზავნილს ძლიერი დიპლომატიური მონუსხვის მუხტი ექნება, რათა სხვა მონაწილეთა იდეების ნახალისებაც მოხდეს. თუმცა, ზოგიერთი იდეა სულელურიც არის და ისინი ობამამ უნდა უარყოს. კონკრეტულად კი, მსოფლიო ვალუტის შემოღებისკენ მიზნობრივად, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად სანაგვეზე უნდა აღმოჩნდეს. იგივე მიმართულება უნდა მიეცეს ახალი ევროპული უსაფრთხოების ორგანიზაციაზე მსჯელობებსა თუ ეუთო-ს იმგვარ რეფორმირებაზე დისკუსიებს, რამაც თითქოსდა ნატო-ც უნდა დაჩრდილოს.

3. ობამამ კვირული ისე უნდა დაასრულოს, რომ დატოვოს ფართო გაგებით შეთანხმების მიღწევის შეგრძნება, თუ როგორ გაუმჯობესდეს მსოფლიო ეკონომიკა. ეს იქნება "დიდი ოცეულისა" და ევროკავშირის სამიტების უმთავრესი თემა, მაგრამ ამავედროულად დიდი კითხვა ნებისმიერისთვის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. კონკრეტულად, ობამამ უნდა მიაღწიოს კონსენსუსს შეერთებული შტატებსა და ევროკავშირის შორის არა მიდგომებში განსხვავებების შერბილებით, არამედ რეალურად კომპრომისული მიდგომის გამოხატვით. ეს ორივე მხარისგან მოითხოვს ზომიერებას, რადგან ამჯერად თითოეული მათგანი ისე იქცევა, რაც მისთვის ყველაზე საუკეთესო ყველაზე ნარმატიული საშუალებაა. ბრიუსელი უცვლელ ბიუროკრატიულ ნუსხეს წერს, ვამინტონი კი ხარჯავს ფულს, რომელიც არ აქვს. ჩვენმა ზეაქტიურმა მსოფლიო ლიდერებმა აუცილებლად უნდა გამოხატონ ოქროს შუალედი.

4. ნატო-ს დაარსების 60 წლისთავზე ობამა უნდა შეუერთდეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ნარმატიული საშუალო ალიანსის შექმნისადმი მიძღვნილ ზეიმს - ნატო იცავს მშვიდობას და ხელს უწყობს დემოკრატიის მშენებლობას ექვსი ათეული წელიწადია. ერთობლივი სამიტი სტრასბურგსა და კელში თავისთავად საზეიმო აღნიშვნა იმისა, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ დაასრულეს ომის საუკუნე. ნათქვამია, რომ ჩვენ ვმარტულად - დიას, გმარტულად დღევანდელ ომში, დიას, ეს არის ომი ავღანეთში. პრეზიდენტმა სწორი არჩევანი გააკეთა, როცა გადაწყვიტა, არ ჩაეხდნა პოლემიკაში თითოეული ქვეყნის წვლილის შესახებ, რადგან მან უნდა დაარწმუნოს თავისი ნატო-ელი თანამებრძოლები, სწრაფად შეიმუშონ საერთო მიდგომა ავღანეთისადმი. ომს შედეგით თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენმა მიდგომამ ალიანსის შემდგომი განვითარება და შესაბამისად მისი შემდგომი გაფართოება უნდა განსაზღვროს.

5. ობამას ვიზიტს თურქეთში, როგორც მისი პირველ საგარეო-პოლიტიკურ ტურნეს ნაწილს, ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მან უნდა დაიხსნოს შეერთებული შტატების ურთიერთობების გაჯანსაღება ამ ერთ-ერთ უსანაშნავ და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მოკავშირესთან. მან კონკრეტული განცხადება უნდა გააკეთოს ქურთთა მუშათა პარტიის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და თურქეთთან სამხრეთ საზღვრის უსაფრთხოებისთვის ერთობლივ მუშაობაზე, მას შემდეგ რაც შეერთებული შტატები ერას დატოვებს. მან უნდა გამოხატოს პატივისცემა თურქეთის დემოკრატიულად არჩეული მთავრობისა და თურქი ხალხის არჩევანის მიმართ.

6. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გარდა, ყველას ცნობისმოყვარეობა მიმართული იქნება ობამა-მედვედევის შეხვედრისკენ, რაც ზოგიერთმა მიმოხილველმა უკვე შეადარა 1961 წლის 4 ივნისს, ამერიკის პრეზიდენტ ჯონ კენედისა და საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივან ნიკიტა ხრუშჩოვის შეხვედრას. ახლაც, ნარსულის მსგავსად, ახალგაზრდა, იდეალისტი და გამოუცდელი ამერიკელი პრეზიდენტი ჩაბმება გამოკუთვლილ სტრუქტურის არმქონე დისკუსიაში ისეთი ქვეყნის ლიდერთან, რომელიც კულდაბოკა, მომწინფებული მოთხოვნები და გამოხატებული გზავნილები ისმის. ობამას ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს: მედვედევს ძლიერად ჩამოართვას ხელი და მისგანაც იგივე მოითხოვოს. იგი ამას გააკეთებს, როგორც არ უნდა იყოს რუსული პასუხი. იგი აუცილებლად მიაღწევს წარმატებას.

ამის კარგი მაგალითია საქართველო. 25 მარტს ობამამ განაცხადა: **"ჩემი ადმინისტრაცია რუსეთთან ურთიერთობების განახლების გზებს ეძებს... და უკან არ დაიხვეს მთელ ევროპაში მკაფიო სიგნალის გაგზავნისგან, რომ ჩვენ ვაპირებთ, დავრჩეთ უმთავრესი რწმენის ერთგული ანუ ქვეყნებს, ვისაც სურთ ალიანსში გაწევრიანება და ამისთვის იღვნიან, შეუძლიათ, მიადნიონ ნატო-ს წევრობას."**

მეტიც, მთელი მსოფლიო აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებს რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით.

ობამამ მშვიდად, მაგრამ მყარად უნდა მოსთხოვოს მედვედევს, დატოვოს საქართველოს ტერიტორია და შეწყვიტოს ნატო-ში საქართველოს განწევრიანების სურვილის გამოხატვა. მედვედევი უარყოფს ორივე საკითხს, მაგრამ ობამას შეუძლია, ისინი დაიცვას მტკიცე თანამშრომლობისა და რუსეთის ცივილიზებულ ქვეყნად კიდევ ერთხელ აღიარების სანაცვლოდ, რაზეც მოსკოვი მალე დაფიქრებს.

ამავედროულად, ამერიკის მოკავშირეებმა უნდა გაიგონ, რომ რუსეთთან თანამშრომლობისკენ მიმავალი გზა ამერიკის პრეზიდენტის მხრიდან მხოლოდ ასეთ სიმტკიცეზე გადის. ეს რთული ამოცანაა, მაგრამ ობამას შეუძლია ამ საკითხზე ყურადღების კონცენტრირება და იმ მიმართულების გაგრძელება, რაზეც წინასაარჩევნო კამპანიის დროს საუბრობდა. შემდეგ ეკონომიკურ პრობლემებს შეეჯახა. მან უნდა დაძლიოს ეს სირთულეები. ჩვენ ყველანი უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებით, თუკი იგი წარმატებას მიაღწევს.

დევიდ ჯ. სმიტი, საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი) და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი).

მაჰმადიან მესხთა მისხეზს მოსაფიქრებელი ჰადა ბაუხანბრძლივდათ

მაჰმადიან მესხთა საქართველოში დაბრუნების საკითხი კვლავ დღის წესრიგში დგას. რეპატრიანტის სტატუსის მისაღებად საქართველოს საკონსულოებში განაცხადების შეტანის ვადა ექვსი თვით გავრძელდა.

თავანა ურიძა,
ახალციხე

რეპატრირებულითა სტატუსის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა 2009 წლის პირველ იანვარს იწურებოდა. თუმცა, აგვისტოს მოვლენებისა და ქვეყანაში ათასობით დევნილის გაჩენის მიუხედავად, 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მისინით „რეპატრიაციის შესახებ“ კანონში ცვლილება შეიტანა, რომლის თანახმად საკონსულოები მაჰმადიან მესხთა განაცხადებს პირველ ივლისამდე მიიღებენ.

მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციის უზრუნველყოფა საქართველოს მხრიდან ევროსაბჭოს წინაშე ამ ორგანიზაციაში განევრიანებისათვის აღებული ერთ-ერთი ვალდებულებაა. კანონით გადმოსახლების პროცესი 2011 წლამდე უნდა დასრულდეს.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის აკაკი მინაშვილის განცხადებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში სამჯერ ჩატარებულმა არჩევნებმა და აგვისტოს მოვლენებმა განაცხადების შეტანის პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა.

სამცხე-ჯავახეთში არასამთავრობო ორგანიზაცია „ვათანის“ წარმომადგენლის აიღინ იბრაგიმოვის განცხადებით, ქვეყანაში არსებული დამატებითი პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, მესხებს საქართველოში გადმოსახლების სურვილი კვლავ აქვთ. კანონის ამოქმედებიდან დღემდე რეპატრიაციის სამმართველოში 1 700-მდე განაცხადება შესული, აზერბაიჯანში არსებულ საკონსულოებში კი მათი რიცხვი 15 000-ს აღწევს.

„რუსეთსა და სხვა საკონსულოებში რამდენი განაცხადია შესული, ცნობილი არაა. ვადის ამოწურვის შემდეგ დაიწყება თითოეული განაცხადის განხილვა და მისი დაკმაყოფილებისათვის პირობების შესწავლა“, - განმარტავს პოლიტოლოგი უჩა ბლუაშვილი,

რომელიც მრავალი წელია, მაჰმადიან მესხთა საკითხზე მუშაობს. მისი განცხადებით, შესაძლოა, თავდაპირველად მესხთა მცირე ჯგუფები ჩამოვიდნენ. ასე სახელმწიფოს საშუალება ექნება დაუკვირდეს იმ პრობლემებს, რომლებიც მათი საქართველოში დაბრუნების პროცესთან იქნება დაკავშირებული. აღმომჩენილი ხარვეზები კი უფრო დიდი ნაკადის მიღებისთვის აღმოიფხვრება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტო-

ციალური პროგრამები ვრცელდება. დაბრუნების მსურველებს ამ ინფორმაციას აწვდიან. ისინი კი რისკს არ გასწევენ“, - მიიჩნევს ცირა მესხიშვილი. მაჰმადიანი მესხების წარმომავლობის შესახებ და სამხრეთ საქართველოდან მათი იძულებითი გადასახლების რეალურ მიზეზებზე ისტორიკოსი ნუნუ მურჯიკელი გვიამბობს.

„1944 წლის 14 ნოემბერს საბჭოთა კავშირის უშიშროების სამინისტროს ჯარის ქვედანაყოფებმა ახალციხის, ასპინძის, ნინოწმინდის, ადიგენისა და ახალქალაქის რაიონების 220 სოფელში მცხოვრები მაჰმადიანი

ეკონომიკური ასპექტების ზეგავლენით შეიცვალეს რელიგია“, - დასძენს იგი. საქართველოს უშიშროების სამინისტროს არქივებში დაცული ინფორმაციის თანახმად გადასახლების საიდუმლო ინსტრუქტაჟში ეს ხალხი თურქებად არიან მოხსენიებული. მუსულმანი მესხებს ბრალი ნაცისტური გერმანიის მოკავშირე თურქეთთან კონტაქტში და ანტისაბჭოთა ქმედებებში ედებათ. ამ ისტორიიდან სამოცნელზე მეტი გავიდა. დღეს მაჰმადიანი მესხები ყაზახეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, უკრაინაში, ამერიკასა და რუსეთში არიან მიმოფან-

ახალციხის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ოლეგ სანდროშვილი, რომელმაც რეპატრიაციის შესახებ კანონისთვის ვეტოს დადების მოთხოვნით რეგიონში, ადრე მესხებით დასახლებულ სოფლებში 5 000-მდე ხელმოწერა შეაგროვა: „მაჰმადიანი მესხები არიან ადამიანები, რომელთა უკანაც დიდძალი ფულია. მათ ევროკავშირი და სხვა ფონდებიც ეხმარებიან. პირიქით, ახლა უფრო მეტი ეცდება აქ ჩამოსვლას, რადგან კაპიკებში იყიდიან გაჭირვებული ხალხის ქონებას“, - დარწმუნებულია სანდროშვილი. იგი მიიჩნევს, რომ ქვეყა-

ვლიქტი გამორიცხული არაა, უჩა ბლუაშვილიც ადასტურებს: „მეგუების პროცესი ყველა ეტაპზე საკმაოდ მტკივნეულია. ყველაზე დიდ წინააღმდეგობას კი ჩამოსახლებელი მოსახლეობის დიდი ნაწილის თურქული ცნობიერება გამოიწვევს. სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია“.

პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ, როცა ორი უზარმაზარი ტერიტორიის დაკარგვის შემდეგ ქვეყანაში სამცხე-ჯავახეთი ცხელ წერტილად ითვლება და გადმოსახლების მსურველ მაჰმადიან მესხთა დიდ ნაწილს ცხოვრება სწორედ ამ რეგიონში სურს, ადგილობრივ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულებს შორის ექსცესების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოს დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუსხში მცხოვრებ 67 წლის ვლადიმერ ოქრომელიძეს სწორედ ამ „დავიდარაბის“ ეშინია: „ამ კუთხეს კიდევ არეულობა სჭირდება? მერე ვინ იქნება ჩვენი პატრონი? ქვეყანაში ამდენი უსახლკაროა, მთავრობამ ჯერ მათ დაზინავებასა და პრობლემების მოგვარებაზე იზრუნოს“.

პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ მაჰმადიანი მესხების დაბრუნებასა და დევნილთა გაზრდილი რაოდენობის საკითხის გადანყვევას ერთმანეთთან არანაირი კავშირი აქვს: „დევნილები სულ ცოტა 10 წელი მაინც ვერ დაბრუნდებიან, ამასობაში კი ჩვენ შევძლებდით არანაკლებ მძიმე გამოწვევისა და ვალდებულების შესრულებას მესხებთან დაკავშირებით. ეს ჩვენი, როგორც სახელმწიფოს, ვალდებულებაა. კეთილი ვინებოთ და გავხედოთ სახელმწიფო. სანამ ჩვენ ამ ხალხს არ დავაბრუნებთ, მანამდე სახელმწიფო არა ვართ და ვერც დევნილების დაბრუნებას შევძლებთ“.

მისი თქმით, მაჰმადიანი მესხებიც საქართველოს პოტენციური მოქალაქეები არიან და, ამდენად, მათი ინტერესები ჩვენს ინტერესებზე უნდა ვაქციოთ: „უნდა მოხდეს არა გადმოსახლება, არამედ დაბრუნება. გადასახლებები და გადმოსახლებები ეს სტალინის მეთოდი“.



მაჰმადიან მესხთა დასახლება გურიის რეგიონში

ლერანტის“ თავმჯდომარე ცირა მესხიშვილი ფიქრობს, რომ წარდგენილი განაცხადების საერთო რაოდენობასთან შედარებით, საქართველოში რეალურად გადმოსახლების მსურველი ბევრად უფრო ცოტა იქნება: „განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანაში განხორციელებულ რუსეთის აგრესიას ეკონომიკური კრიზისიც დაერთო“.

მისი თქმით, მაჰმადიან მესხთა უმრავლესობა სოციალურად შეჭირვებულია: „საქართველოში მცხოვრებ ყველა რეპატრიანტს უჭირს. ზოგს მოქალაქეობაც არა აქვს და, ამდენად, მათზე არც სო-

მესხები ერთ ლამეში აყარეს. 100 000-მდე მუსულმანი ყოველგვარი ახსნა განმარტების გარეშე სატივით ვაგონებით შუააზიისკენ გაამგზავრეს. არაადამიანურ პირობებში მგზავრობა ერთ თვეზე მეტ ხანს გავრძელდა. გარდაიცვალა რამდენიმე ასეული ადამიანი. ამ საიდუმლო ოპერაციას კრემლიდან ორი ქართველი - ოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია მართავდა“, - ყვება ისტორიკოსი.

„მაჰმადიანი მესხები სისხლით და ხორციით ჩვეულებრივი ქართველები იყვნენ, მაგრამ ქალაქეობაც არა აქვს და, ამდენად, მათზე არც სო-

ტულნი. იძულებით ემიგრირებულითაგან ყველაზე მეტი დაახლოებით 80 000 ადამიანი აზერბაიჯანში, მულანის ველზე, დაჭაობებულ ადგილებში, ცხოვრობს. მცირე ნაწილი, დაახლოებით ასი ოჯახი, საქართველოში დაბრუნდა. ისინი იმერეთსა და გურიაში კომპაქტურად ჩაასახლეს. პოლიტოლოგი უჩა ბლუაშვილი მიიჩნევს, რომ თუ აქამდე 80 000-მდე მაჰმადიანი მესხის ჩამოსვლას ელოდნენ, სავარაუდოდ, რეალურად მხოლოდ 25 000-მდე რეპატრიანტი დაბრუნდება.

სხვაგვარად ფიქრობს ოპოზიციური „კონსერვატიული პარტიის“

ნაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ხელს აძლევს რეპატრირებულებს, თითქმის დაცლილ ქართულ სოფლებში კომპაქტურად დასახლდნენ: „ეს კიდევ მეტ პრობლემას შეუქმნის ქვეყანას. აქვს კი ახლა ხელისუფლებას პრობლემების გადაჭრის უნარი?! სახელმწიფო ვალდებულია, მათი დაბრუნების პროცესში დაიცვას არა მხოლოდ რეგიონის, არამედ საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების უფლებებიც, რაც ნაკლებ სავარაუდოა“, - აცხადებს ოლეგ სანდროშვილი.

ის, რომ ინტერესთა კონ-

ზუბდიდის რაიონში ნიანგების ფერმა იხსნება

სოფელ ცაიშის გოგირდის წყლებში მალე ტუნისელი რეპტილიები იბანავებენ.

ირაკლი ლაბვილაშვილი, ცაიში

ნიანგების ფერმას ცაიშში ქართულ-გერმანული „უა-კარე ენდ კომპანია“ ხსნის. ფერმის მთავარი სპეციალისტის ირაკლი ჩოკორაიას განცხადებით გასულ წელს მათ ტუნისიდან ჩამოიტანეს ნიანგის კვერცხები, რომლებსაც დეკემბერში გამოიჩეკა ოთხი ნიანილი. პატარა რეპტილიები ახლა სპეციალისტების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. „კვერცხები რა თქმა უნდა ლეგალურად ჩამოვიტანეთ. დავუკავშირდით ფერმერს, რომელსაც აქვს ეს მუერნეობა და მან მოგვცა შესაბამისი სერთიფიკატი, რომ

ეს კვერცხები ტუნისის წყლებში არ გვექონდა ბრაკონიერული გზით მოპოვებული, რის შემდეგაც საზღვარზე მათი გადმოღობა პრობლემას არ წარმოადგენდა“, - ამბობს ირაკლი. ნიანგების ჩამოყვანისა და მოშენების იდეა კომპანიის გენერალურ დირექტორს თამარა ჯანაიშვილს ეკუთვნის, რომელიც არგენტინაში, კერძოდ მინდოზას რეგიონში ცხოვრობდა. ეს რეგიონი არ არის თბილი კლიმატით გამოირჩეული და თითქმის ისეთივე კლიმატია, როგორც დასავლეთ საქართველოში. მინდოზას რეგიონში მდინარე პარანა ჩამოედინება, სადაც კაიშის ჯიშის ნიანგი ბინადრობს, რომლის სიგრძე

120 სანტიმეტრს არ აღემატება. სწორედ ამ სახეობის ნიანგები დაიბუდებენ სოფელ ცაიშში. ნიანგების მოშენებით ფერმა მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ევროპაში ამ რეპტილიაზე მოთხოვნილება გაიზარდა. ირაკლი ჩოკორაიას განმარტებით კაიშის ხორცის ფასი დაახლოებით, კილოგრამით, ხოლო ტყავის კი სამიათასიდან ოთხათასამდე მერყეობს. ბიზნესის დასაწყებად სოფელი ცაიში იდეალური ადგილია. კომპანიას აქ დიდი ხანია გახსნილი აქვს სასაბურთე მეურნეობა, სოფელში ცხელი გოგირდის წყალი მოედინება, რაც ნიანგების წყალსაცავის თბილი წყლით მომარაგების ხარჯებს მინიმუმამდე ამცირებს. „ყველაზე მთავარი ჩვენ-

თვის მაინც გოგირდის წყლებია, წყლის გასათბობად არ მოგვიწევს რაიმე სპეციალური დანადგარის შექმნა, ჩვენს საბურთეებში გამოყენებულ ცხელ წყალს პირდაპირ აუზში ჩავდევით“, - ამბობს ირაკლი ჩოკორაია. ნიანგების ჩამოყვანის ინიციატივა სოფლის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თავიდან არ მოიწონა. ეს საკითხი სოფლის ბირჟებსა და სამარშრუტო ავტობუსებში განხილვის მთავარი თემა იყო, სადაც ასეთ დიალოგებზე ხშირად გაიგონებდით: - ამ მთავრობამ ომით და ათასი უბედურებით, რომ ვერ შეძლო ჩვენი განყვება ახლა ნიანგების ჩამოყვანას აპირებს და ჩვენს თავს შეაჭმევინებს. - მთავრობა რა შუაშია თუ რომელიღაცა ბიზნესმენს

ნიანგების ჩამოყვანა მოუნდა, აი ნახავთ თუ მისცეს მათ ამისი ნება“, - ამტკიცებდნენ ხელისუფლების ქომაგები. ცაიშელთა აღშფოთებას ირაკლიც იხსენებს. „მახსოვს თუ რა საყვედურები ისმოდა ჩვენი მისამართით. ყველას ეგონა, რომ 2-3 მეტრიანი ალიგატორები ჩამოგვყავდა და სოფლის მდინარეში ვუშვებდით. ბოლოს ყველას აუვხსენით რომ სპეციალურ აკვარიუმის მსგავს წყალსაცავში, მოსახლეობისგან იზოლირებულად იცხოვრებდნენ კაიშანები, რომელთა სიგრძეც ჩვენს პირობებში მაქსიმუმ 90 სანტიმეტრი იქნება და ამ ზომის რეპტილიას არა თუ ძროხის, კურდღლის გადაყლაპვაც კი გაუჭირდება“, - ლიმილით ყვება ირაკლი.

დღეს ეგზოტიკური ქვეწარმავლის მეზობლად ცხოვრება ცაიშელთა უმრავლესობას მისაღებად მიაჩნიათ. „მთავარია ჩვენ არ გვაფერხდეს მათი არსებობა ჩვენთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. თავიდან კი გვეშინოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ავცხსენეს ყველაფერი, ნიანგების ჩამოყვანის წინააღმდეგ აღარ ვართ“, - გვეუბნება ცაიშელი ნაირა. „ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ 4 ნიანილი გვყავს, რომლებიც ზრდასრულ ასაკს სამი წლის შემდეგ მიაღწევენ და შესაბამისად შთამომავლობასაც ამის შემდეგ მოგვცემენ. მთავარია რომ მათ მაქსიმალურად საუკეთესო პირობები შევუქმნათ გამრავლებისთვის“, - ფერმის გაზრდაზე ოცნებობს ირაკლი ჩოკორაია.

ინდური ინდუსტრია ქუთაისში

მასობრივი უმუშევრობისა და შემცირებების ფონზე, ქუთაისში დასასაქმებლად რამდენიმე ათეული მუშა ინდოეთიდან ჩამოიყვანეს.

თეა ზიზაზიძე, ქუთაისი

ქუთაისის ძველ „რკინა-ბეტონის ქარხნის“ ბაზაზე ინდური ინვესტიციით მეტალურგიული ქარხანა იქმნება. 30 მილიონიან პროექტს შპს „ევრაზიან სტილსი“ ახორციელებს. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ერთ დროს ინდუსტრიულ ქალაქში განხორციელებული ეს მსხვილი ინვესტიცია, ადგილობრივებს ძვირი დაუჯდათ. ინვესტორმა მოსვლისთანავე ქარხნის მუშების დიდი ნაწილი სამსახურიდან გაუშვა. ინდურ ინვესტიციას კი თან ინდოელი მუშები ჩამოყვანენ. ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე საწარმოს გახსნის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ მოიძებნება. სამაგიეროდ, ქარხნის აქციების გახსნის შესახებ „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის“ გასული წლის მიმოხილვაში მოხვდა, სადაც გამოთქმულია გარკვეული ეჭვები გასხვისებული საწარმოს აქციების ფასთან დაკავშირებით. „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის“ მიმოხილვაში ნათქვამია, რომ საწარმოს ერთი ნაწილი 2008 წლის 13 მაისს, მეორე კი 6 ივნისს გახსნიდა. აქციათა ფასი კი სულ რა-

ღაც 24 დღეში ოცდარვაჯერ არის გაძვირებული. საეჭვოა ისიც, რომ გარეგნობის ფიქსირებული აქციების რაოდენობის დაჯამებით, გახსნისებულის წილის ოდენობა 136, 996%-ს შეადგენს. ნანგრევებად ქცეულ ყოფილ „რკინა-ბეტონის ქარხანაში“ აღმინისტრაციის წამომადგენელთა პოვნა შეუძლებელია. აქ მხოლოდ ინდოეთიდან ჩამოყვანილ მუშებს შეხვედებით, რომლებიც სამშენებლო საქმით არიან დაკავებული. ზედამხედველი მათ ჟურნალისტებთან ურთიერთობას კატეგორიულად უკრძალავს. თავად მედიის წარმომადგენლებს ქარხნის გარე ტერიტორიაზე მხოლოდ გადაადგილება შეუძლიათ, „დირექტორი საქართველოში არ არის. მისი თანხმობის გარეშე კი ვერც ფოტოებს გადაიღებთ და არც არავინ დაგელაპარაკებთ. მუშებს აკრძალული აქვთ მედიასთან ურთიერთობა“, - აცხადებს ზედამხედველი. მედიის წარმომადგენელთა ნაწილს მუშაობის საშუალება ქარხანაში მხოლოდ ერთხელ მიეცათ, როცა ერთი თვის წინ საწარმოს საქართველოს პრეზიდენტი სტუმრობდა. ერთადერთი ოფიციალური კომენტარიც საწარმოს საქმიანობისა და პერსპექტი-

ვების შესახებ მაშინ გაკეთდა და ისიც მხოლოდ ცენტრალური ტელევიზიებისთვის. მათ მიერ გადმოცემული ინფორმაციის საფუძველზე კი ირკვევა, რომ ქართულ-ინდური საწარმოს მიზანი ქუთაისის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაა. მშენებლობის დასრულების შემდეგ საწარმომ მაღალი ხარისხის ლითონის სამშენებლო მასალები უნდა გამოუშვას. ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინვესტორი პირველი პროდუქციის გამოშვებას დაახლოებით ექვს თვეში გეგმავს. ინვესტორის გათვლით, წარმოებული პროდუქცია უკრაინიდან და თურქეთიდან შემოტანილ ლითონის შეცვლის და ბაზრის 60%-ს დაიკავებს. პირველ ეტაპზე საწარმო წელიწადში ასი ათასი ტონა პროდუქციის გამოშვებას გეგმავს, რასაც ხუთასი ადამიანის შრომა დაჭირდება. „მაშინ, როდესაც ევროპა ყვაოდა, ქუთაისი არ ვითარდებოდა, ახლა კი მსოფლიო კრიზისის დროს ქუთაისში სამუშაო ადგილები იქმნება. აქ ბევრი კვალიფიციური კადრია, რაც ძალიან დასაფასებელია“, - ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მეტალურგიული ქარხნის პრეზენტაციას გააკეთა. თუმცა, ახალი სამუშაო ადგილების ნაცვლად ქუთაისის ქარხანაში ძველიც

დაკარგეს. ინდოელიდან ჩამოყვანილი ასზე მეტი მუშა ქუთაისში ახალი ქარხნის მშენებლობით ყოველდღიურად არის დაკავებული. ქარხნის ძველი მუშების პოვნა კი სამშენებლო სამუშაოებზე შეუძლებელია. „ვინც აქ ვმუშაობდით, ახლა რეზერვში ვართ, სპეციალისტებიც და მუშებიც, თუკი რაიმე დაჭირდებოდათ, გვიკავშირდებოდათ და ერთჯერად სამუშაოებს გვასრულებდებოდათ. ძირითადად ინდოელები ჰყავთ დასაქმებული“, - გვიხელებს მუშები, რომლებსაც ერთჯერადი სამუშაოს დაკარგვის შიშით, ვინაობის გამხელა არ სურთ. საწარმოს დაცვის თანამშრომელი ამბობს, რომ ინდოელების საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუმცა საკუთარ ქვეყანაში „რეზერვად“ ყოფნა არ უნდა. „ხელშეკრულება რომ ნახოთ, მიხვდებით, რომ ინდოელები მატერიალური თვალსაზრისითაც უკეთეს პირობებში არიან. მათ ჩვენზე მეტი ხელფასი აქვთ. ეტყობა ინვესტორის დაინტერესების და მოზიდვის გამო, სახელმწიფო ამ პირობებს დათანხმდა. ასე არ უნდა გვექცეოდნენ“, - ამბობს დაცვის თანამშრომელი, რომელიც სამსახურის დაკარგვის შიშით, საკუთარ ვინაობას არ ამხელს. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობაში ქალაქში ახალი ინვესტორის შემოსვლას მხოლოდ მიე-

სალმებია. „ამით ქალაქში მძიმე მრეწველობის ალორძინება იწყება. პირველ ეტაპზე 500 კაცი დასაქმდება. საბოლოო ჯამში 2000 კაცის დასაქმებაა დაგეგმილი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მუშას ინდოეთიდან ჩამოიყვანენ. ჩვენთან მძიმე მრეწველობაში საკმაოდ დიდი წყვეტა იყო. ის სპეციალისტები, რომლებიც მუშაობდნენ ამ მიმართულებით, ფაქტიურად, აღარ არიან, ამიტომ, ინვესტორმა პირველ ეტაპზე ქარხნის ასანყოფნა დადგინდა. ჩვენთან სულ ადგილობრივი იქნება“, - აცხადებს ქუთაისის მერიის აპარატის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის საკითხებში ქეთი დვისაძე. „აგურის გადაზიდვას სპეციალისტები არ ჭირდება, ეს ჩვენც შეგვიძლია“, - ამბობს ქარხნის დაცვის თანამშრომელი. ინვესტორმა ჩამოყვანილი მუშახელის დაბინავებაზეც იზრუნა. მათი ნაწილი ქარხანასთან ახლოს, „ვაკისუბნის“ ბოლოს მდებარე ერთ კერძო სახლში, ნაწილი კი ნიკეას ქუჩაზე დასახლებულნი. „ყოველ დღით, 9 საათზე აქ რომ გამოიაროთ, პატარა ინდოეთი გეგონებათ“, - ამბობს ვაკისუბნის მკვიდრი ალექო უკლება, რომელმაც სამუშაოს დაწყების თხოვნით არაერთხელ მიმართა ახლად-

გახსნილ საწარმოს დირექციას: „ყველას ეუბნებიან: თუ დაგვჭირდებით, დაგვიკავშირდით თო. მუდმივ სამუშაოზე არავინ აყავთ“, - ამბობს ის. ახალი საწარმოს ახალ მუშებთან საუბარი მათთვის ნაქირავებ ბინაშიც შეუძლებელია. „ცოტა სხვანაირი ხალხია, არავის ელაპარაკებიან, ორი მუშა გაუშვეს კიდევ იმის გამო, რომ „ზედმეტად“ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ადგილობრივებთან ცუდი დამოკიდებულება არ აქვთ, თუმცა კერძებს მხოლოდ საკუთარს ჭამენ, თავიანთი მზარეული ყავთ ჩამოყვანილი. ქართული კერძები არ მონონთ. დიდი სახლი მაქვს და პირველი სართული მათ მივაქირავე. 21 ინდოელი ცხოვრობს ჩემთან, დანარჩენები სხვაგან არიან. მათი უფროსი კი, როგორც ვიცი, ქალაქის ცენტრში, თეატრთან ცხოვრობს. სამსახურში ერთად მიდიან და მოდიან, კვირაობით კი ისვენებენ“, - გვიხსნის გაქირავებული სახლის მეპატრონე, რომელმაც ქუთაისურებიდან ახალი საწარმოს გახსნით ყველაზე მეტად იხიერა. სახლის დიანახლის არ მალავს, რომ პირველი სართული 3000 დოლარად აქვს გაქირავებული. „მეორე სართულსაც მალე ალბათ მათ მივაქირავე. გავიგე კიდევ ასამდე მუშის ჩამოყვანას აპირებენო“, - უხარია ქალბატონს.

პატიმრები თვითმკვლელობით იმუქრებიან

ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პატიმრები პროტესტის ნიშნად თვითმკვლელობით იმუქრებიან, - ამის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრს მსჯავრდებულთა ახლობლებმა შეატყობინეს.

მათი თქმით, დაწესებულებაში პატიმრებს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც ყოველდღიურად უარესდება არა თუ მკურნალობენ, არამედ, ტკივილგამამყუჩებლებსაც არ აძლევენ.

ერთ-ერთი მსჯავრდებულის დედის თამარ ბატიანიშვილის განცხადებით, დაახლოებით ორი თვეა, რაც დაწესებულებაში მოთავსებული მისი შვილის საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვენ, რადგან მსჯავრდებულის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და შესაძლოა, დაიღუპოს, მაგრამ უშედეგოდ. მსჯავრდებულთა ახლობლების განმარტებით, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროს ადმინისტრაცია პატიმართა წერილებს, სადაც ისინი დაწესებულებაში არსებულ უკიდურესად მძიმე პირობებზე, ზენოზის, ცემის და სხვა არადამიანური მოპყრობის ფაქტებზე საუბრობენ, უპასუხოდ და რეაგირების გარეშე ტოვებს.

სამინისტროში ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების პროტესტის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

მედიანიუსი

ომბუდსმენის ახალი ანგარიში პარლამენტში

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა პარლამენტში 2008 წლის მეორე ნახევარში ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარადგინა. სახალხო დამცველმა საპარლამენტო ანგარიშთან დაკავშირებით გუშინ პრესკონფერენციას გამართა.

"პარლამენტი კვლავ არ ახდენს ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევებზე რეაგირებას და ამით ნებისმიერ უნებლიედ, ადამიანის უფლებათა დარღვევების ნახალისებას ახდენს," - ნათქვამია ომბუდსმენის 2008 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში.

ომბუდსმენის თქმით, კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება ადამიანთა წამება, წამების საქმეების არაეფექტური გამოძიება ან გამოძიებაზე უარის თქმა.

გარდა ამისა, მისი თქმით, საანგარიშო პერიოდის საგანგაშო ტენდენციად ასევე ადამიანების მოტაცებისა და გაუჩინარების ფაქტები, ასევე პოლიციის მიერ ძალის გადახმება, რაც ადამიანთა მსხვერპლით დასრულდა. სახალხო დამცველი იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლების დარღვევა ბოლო წლებში მოხსენებებს წითელ ხაზად გასდევს.

"უცვლელი რჩება მიზეზებიც, რაც ყოველწლიურად რამდენიმე ათეული პატიმრის სიკვდილს იწვევს საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ეს არის ადმინისტრაციის უყურადღებობა პაციენტის პატიმრების მიმართ, ზერელე დიაგნოზები, არასწორი და არაადეკვატური მკურნალობა, ან ხშირად მკურნალობაზე საერთოდ უარის თქმა," - განაცხადა სოზარ სუბარმა.

პირველი

"ახმეტელთან" ავტომობილი აფეთქდა

მეტრო სადგურ "ახმეტელთან" "მერსედეს-ბენცის" მარკის ავტომობილი აფეთქდა.

აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. შემთხვევის ადგილას სახანძრო ბრიგადა და სამართალდამცავები გავიდნენ. აფეთქების მიზეზებს კრიმინალური პოლიცია დაადგენს.

მედიანიუსი

მოდრავ ავტობუსს ცეცხლი გაუჩნდა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალღივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრავ ავტობუსს ცეცხლი გაუჩნდა.

ცეცხლი ავტობუსის სალონის უკანა ნაწილს წაეკიდა. იმ დროისთვის ავტობუსში 10 ადამიანი იმყოფებოდა.

შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, არ არიან არც დაშავებულები. ცეცხლის გაჩენის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. მისი ლოკალიზება დროულად მოხერხდა.

პირველი

ბამჰვირვალე პოლიცია

თბილისში, კახეთის გზატკეცილის 38 კმ-ზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი, გამჭვირვალე შენობა გაიხსნა, რომელიც ალჭურვილია უახლესი ტექნიკით. შსს-ს სათაო ოფისში შენობაში განთავსდება სამინისტროს ცენტრალური აპარატის დანაყოფები და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. შენობის არქიტექტორები არიან იტალიელი მიკელე დე ლუკი, ლეოპოლდო ფრერიე და მარკო პეტალიოზა.

შსს-ს ახალი შენობის გახსნას დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

მიხეილ სააკაშვილმა შენობის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ, თუ ქვეყანას რამით თავის მონონება შეუძლია, ეს პოლიციის რეფორმაა.

"ჩვენ ვაშენებთ პოლიციას, რომელიც მთლიანად გამჭვირვალეა. ის ძალიან განსხვავდება შევარდნაძის ავადსახსენებელი წლების პოლიციისგან," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, სწორედ პოლიციის დამსახურებაა ის, რომ ქვეყანა ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციისგან განმედილია.

"საქართველო "სუფთა" ორგანიზებული დანაშაულისგან და ეს ქართული პოლიციის დამსახურებაა. ამიტომაც, კალაშოვები სხვა ქვეყნებში



შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი შენობა გაიხსნა.

ჩუმად მართავდნენ შეხვედრებს. ადრე კახა თარგამაძე და ნარჩენაშვილი აეროპორტში ხვდებოდნენ კალაშოვებს და ონიანებს, მიჰყავდათ ისინი თბილისის მთავარ სასტუმროში და მათთან ერთად დღისით-მზისით ქეიფობდნენ," - განაცხადა პრეზიდენტმა, რომლის თქმითაც, დღევანდელი ხელისუფლების სიამაყე ის არის, რომ საქართველოში ქურდს არ დაეღვამება და კრიმინალური მენტალიტეტი აღმოფხვრილია.

"ჩემს ბავშვობაში ბევრი ჩემი თანატოლი კანონიერ ქურდობაზე ოცნებობდა, დღეს კი, ბავშვები აბსოლუტურად სხვა მაგალითებზე და ნიმუშებზე იზრდებიან. ჩვენი

სიამაყე არის ის, რომ კრიმინალური მენტალიტეტის ლოკალიზაცია მოხერხდა. დღეს რუსეთში ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ლიდერების 90 პროცენტი ჩვენი თანამემამულენი არიან. ჩვენი მთავარი ექსპორტი რუსეთში არა ღვინო, არამედ "კანონიერი ქურდები", "მაყურებლები", კრიმინალები და მსგავსი ელემენტები არიან," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, მას არასოდეს დაავიწყდება, 2008 წლის აგვისტოში, როდესაც საქართველოს მტერი შემოესია, ზუგდიდი-თბილისის საგზაო მონაკვეთზე საპატრულო პო-

ლიციის თანამშრომლები აგრძელებდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

"სწორედ ასეთი ხალხის დამსახურებაა, რომ რუსეთმა ვერ შეძლო საქართველოს და თბილისის ჩამოშლა. ნურავის ჰგონია, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება წინამორბედის მსგავსად სამარცხვინო და კაპიტულანტურ ხელშეკრულებებს გააფორმებს და ხელს მოაწერს ქვეყნის დაქუცმაცებას. ბრძოლა გრძელდება. ეს ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით და საქართველოდან მტრის უკანასკნელი ჯარისკაცის განდევნით გაგრძელდება," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

შსს-ს ახალი შენობის პრეზენტაციას მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

გუშინვე ახალ სათაო ოფისში ქართული თანამედროვე ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პირველი გამოფენა გაიხსნა, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვრების ნამუშევრები.

როგორც შსს-სი განმარტავენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სათაო ოფისი, როგორც თბილისის არქიტექტურულად ერთერთი გამორჩეული ახალი ნაგებობა, რეგულარულად უმასპინძლებს ხელოვნების განვითარების ხელშეწყობ სხვადასხვა ღონისძიებას. შენობაში არსებული სპეციალური სივრცე უფასოდ დაეთმობა ხელოვნების წარმომადგენლებს.

საკუთარი ინფორმაცია

დიმიტრი შაშკინი რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს ელის

სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების მინისტრი დიმიტრი შაშკინი დღეს მის უწყებაში რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს ელის და მათთან დიალოგისთვის ემზადება.

ამის შესახებ ყურნალისტებს თავად შაშკინმა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ გამართული ბრიფინგის შემდეგ განუცხადა. საპარლამენტო უმრავლესობამ გუშინ ოპოზიციას დიალოგი კიდევ ერთხელ შესთავაზა და საგანგებო განცხადებით მიმართა. სახელისუფლებო გუნდი ოპოზიციას და მის ყველაზე რადიკალურ ნაწილს მოლაპარაკებებს სხვადასხვა საკითხებზე,

მათ შორის პენიტენციურ სფეროსთან დაკავშირებითაც სთავაზობს.

"შეხვედრის შემდეგ დაიდება კონკრეტული სქემა," - განაცხადა შაშკინმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია არც სქემის დეტალები და არც ის უთქვამს, თუ რომელი ოპოზიციური ძალის ლიდერი გეგმავს შეხვედრაზე მისვლას. დიმიტრი შაშკინმა აღნიშნა, რომ ის ყველას ელის.

სტუდენტური ორგანიზაცია "ახალგაზრდული ცენტრის" წარმომადგენლები კი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრს დიმიტრი შაშკინს, სანდრო გვირგვინიანის მკვლელობისთვის გასამართლებულთა შეწყალებასთან დაკავშირებით მათ მიერ დასმულ

შეკითხვებზე პასუხის გაცემას სთხოვენ.

"ახალგაზრდული ცენტრის" წევრები გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გასაფორმებლად მისულ დიმიტრი შაშკინს ეზოში დახვდნენ და პასუხის გაცემა მოითხოვეს.

ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელთა განცხადებით, უნივერსიტეტში მისულ დიმიტრი შაშკინთან შეხვედრის საშუალება არ მიეცათ, ეზოში გამოსულმა შაშკინმა კი მათ შეკითხვებს პასუხი არ გასცა.

იგი მანქანაში ხმის ამოუღებლად ჩაჯდა. მომავალში უნივერსიტეტში ისევ იგეგმება დიმიტრი შაშკინთან შეხვედრა

და, ალბათ, მაშინ მაინც ველარ შეძლებს ჩვენს შეკითხვებზე თავის არიდებას. ჩვენ მის პასუხს ველოდებით, - აცხადებენ ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია, ურთიერთთანამშრომლობის გზით მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობა.

დოკუმენტი ითვალისწინებს მსჯავრდებულებისთვის განათლების მიღების უზრუნველყოფას და ხელშეწყობას.

საკუთარი ინფორმაცია

ამნისტია პირადი მონაცემების გამყალბებლებისთვის

მოქალაქეებისათვის, რომელთაც თავის დროზე გააყალბეს მათი პირადი მონაცემები (პირადობის მოწმობაში, პასპორტში და სხვა დოკუმენტებში) 2010 წლის 1 ივნისამდე ამნისტია გამოცხადდება.

ამნისტია შეეხებათ მოქალაქეებს, რომლებიც ამ პერიოდში იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში გამოცხადდებიან და მათთან

დაკავშირებული მონაცემები გასწორდება. ამ შემთხვევაში მოქალაქეები სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებიან.

ამნისტის შესახებ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში განსახილველად უახლოეს ხანში შევა.

ალსანიშნავია, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში უახლოეს ხანში დაინერგება

ფოტოსაბიჭო სისტემა, რის საფუძველზეც ნებისმიერი ადამიანის ფოტოსურათით იდენტიფიკაცია მოხდება. აღნიშნული სისტემის საფუძველზე ამა თუ იმ საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გაყალბების ფაქტების პრაქტიკულად სრულად გამოფლენა მოხდება.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახური ყოველწ-

ლიურად ამა თუ იმ დოკუმენტის გაყალბების ათასობით ფაქტს ავლენს. საიდენტიფიკაციო მონაცემების გაყალბების ყველაზე გავრცელებული ფაქტებია: მოქალაქის დაბადების თარიღის გადაკეთება, პასპორტის ვადის გაგრძელების შტამპის გაყალბება და სხვა.

საკუთარი ინფორმაცია

განხილვა ბელარუსის ოპოზიციის



ალექსანდრ მილინკევიჩი ცალკე პარტიას ქმნის

გუშინ მინსკში ბელარუსის გაერთიანებულმა დემოკრატიულმა ძალებმა ანტიკრიზისული ფორუმი ჩაატარეს, რომელზეც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების საკუთარი პროგრამის წარდგენას აპირებდნენ. მაგრამ წმინდა ეკონომიკური შინაარსის ღონისძიება ოპოზიციონერთა შორის ურთიერთობების გარკვევის არენად იქცა. პოლიტიკოსებმა თავიანთ კოლეგა ალექსანდრ მილინკევიჩს "რეჟიმთან" თანამშრომლობაში დასდეს ბრალი, ამ უკანასკნელმა კი ახალი ოპოზიციური ძალის შექმნის შესახებ გააკეთა განცხადება. ოპოზიციის ბანაკში უთანხმოება ხელს აძლევს პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს, რომელიც სულ აცხადებს, რომ ოპოზიცია მის ქვეყანაში არაფრის მაქნისია.

"ანტიკრიზისული ფორუმის" მიზანი იყო, დაემტკიცებინა ხელისუფლების უსუსურობა მსოფლიო ფინანსური კრიზისის წინაშე. გაერთიანებული დემოკრატიული ძალების ლიდერები ქვეყნის ხელმძღვანელობის არაეფექტური ანტიკრიზისული მოქმედებების დაგმობას და ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების საკუთარი გეგმის შეთავაზებას აპირებდნენ, მაგრამ დისკუსიამ მოულოდნელი მიმართულება მიიღო და ხმაურიან სკანდალში გადაიზარდა. სკანდალის მთავარი "გმირი" მოძრაობის "თავისუფლებისთვის" ლიდერი, წარსულში ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი ალექსანდრ მილინკევიჩი გახდა.

მას გაახსენეს 25 მარტს ჩატარებული პრესკონფერენცია, რომელზეც მან არცთუ სახარბიელო სიტყვებით მოიხსენია ოპოზიციის დღევანდელი მდგომარეობა. "ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რატომ არ მონაწილეობს ოპოზიცია ბელარუსის ხელისუფლების მოლაპარაკებებში დასავლეთთან. მან ეს არ დაიმსახურა, რადგან გახდა მარგი-

ნალური, სუსტი," - განაცხადა მაშინ მილინკევიჩმა. მან აგრეთვე ეჭვქვეშ დააყენა ქვეყანაში პოლიტიკატიმრების არსებობა: "მიმანია, რომ პოლიტიკატიმარი ადამიანს მხოლოდ მას შემდეგ უნდა ვუწოდოთ, როცა სასამართლო დასრულდება, ადამიანის უფლებათა დამცველები და საერთაშორისო ორგანიზაციები იტყვიან, რომ ის პოლიტიკატიმარია."

ამ ყველაფერმა კოლეგა ოპოზიციონერების აღშფოთება გამოიწვია. ზოგიერთმა იქვე გამოთქვა ვარაუდი, რომ ალექსანდრ მილინკევიჩს არსებულ ხელისუფლებასთან გარკვეული ვალდებულებები აკავშირებს და საქმეები რეჟიმის გათეთრებას უფასოდ არ ახდენს. ფორუმზე მას პირდაპირ წაუყენეს პრეტენზიები. თავიანთი მოსაზრებები ოპოზიციონერებმა პრესის წინაშეც გამოთქვეს. გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის წარმომადგენელმა იაროსლავ რომანჩუკმა მას შეახსენა, რომ "ოპოზიცია იმაზე სუსტი არ გამხდარა, ვიდრე 2006 წელს იყო. მაშინ მილინკევიჩი მარგინალებს არ უწოდებდა იმ ხალხს, ვინც მას მხარი დაუჭირა, მის საპრეზიდენტო კამპანიას აწარმოებდა და პროგრამებს უწერდა. დღეს, როგორც ჩანს, სხვა სპონსორები გამოუჩნდა."

ყველაზე კატეგორიული "ბელარუსის სახალხო ფორტის" წარმომადგენელი ვინცუკ ვიაჩორკა იყო: "მილინკევიჩის ასეთი გამონათქვამების შემდეგ მასთან თანამშრომლობაზე ლაპარაკი კი არ შეიძლება." ფორუმის კულუარებში ისიც გაიხსენეს, რომ 2008 წლის შემოდგომაზე მილინკევიჩი ერთადერთი ოპოზიციონერი იყო, ვინც "მხარი დაუჭირა" ევროკავშირის მხრიდან ალექსანდრ ლუკაშენკოსთვის დაწესებული სავიზო შეზღუდვების მოხსნას. ოპოზიციონერები მიიჩნევენ, რომ სწორედ ეს დაეხმარა მილინკევიჩს, რომ თავისი მოძრაობა "თავისუფლებისთვის" ბელარუსის

ოუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გაეტარებინა, რაც მანამდე ვერ ხერხდებოდა.

თვითონ მილინკევიჩი ფორუმზე უკან დახევას და თანამოაზრეებთან შერიგებას შეეცადა. მან აღიარა, რომ სიტყვა "მარგინალს" შეიძლება გაენანყებინა ოპოზიცია: "მაგრამ მეც ხომ ოპოზიციაში ვარ! გამოდის ჩემს თავსაც ვუწოდებ მარგინალი." როცა მიხვდა, რომ საჭირო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, განაცხადა, რომ ახალი ოპოზიციური ძალის შექმნას აპირებს, რომელიც "თავის რიგებში როგორც ოპოზიციონერებს, ასევე ქვეყნის უპარტიო მოქალაქეებს გააერთიანებს." მილინკევიჩმა ისიც განაცხადა, რომ პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლას 2011 წელსაც აპირებს.

ამჟამინდელი განხეთქილება დემოკრატიული ძალების ბანაკში კარგი "სიურპრიზია" პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოსთვის, რომელიც სისტემატურად იმერებს, რომ ბელარუსის ოპოზიცია სერიოზულ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს. ბელარუსის ლიდერისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ ოპოზიციონერებმა "იჩუბეს" სერიოზული სავარეო-პოლიტიკური მოვლენის წინ - ეს არის მისში, პრაქტიკაში დაგეგმილი ევროკავშირის სამიტი, რომელიც "აღმოსავლეთის თანამშრომლობას" ეხება.

ადრე, როცა მინსკი და ევროკავშირი მხოლოდ განიხილავდნენ პროექტში ბელარუსის ჩართვის საკითხს (ორი კვირის წინ, ევროკავშირის გადაწყვეტილებით "აღმოსავლეთის თანამშრომლობა" ბელარუსზეც გავრცელდა), ბრისკადმა "იჩუბეს" სერიოზული წარმომადგენლების ჩართვაც სცადა. ლუკაშენკოს უარყოფითი რეაქცია ჰქონდა და განაცხადა, რომ ევროპასთან მოლაპარაკებებში შუამავლობა არ სჭირდება. ახლა, როცა ოპოზიციონერებს შორის დაქსაქსულობაა, პრეზიდენტს შეუძლია კვლავ განაცხადოს, რომ მას არ ჰყავს ოპონენტები, რომლებსაც ანგა-

რომი უნდა გაუწიოს ან, მით უმეტეს, მათთან თანამშრომლობა, როგორც ამას დასავლეთი სთავაზობს.

ოპოზიციაზე ლუკაშენკოს ტაქტიკური გამარჯვება სულაც არ ნიშნავს, რომ ევროპელებს მხოლოდ მასთან ექნებათ საქმე. მას ჯერ არ მისვლია სამიტზე დასწრებისთვის მოწვევა, რაც უკვე მიიღეს პროექტის მონაწილე სხვა ქვეყნების (აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) ლიდერებმა. ევროკავშირის ყველა ქვეყანა არ არის ლუკაშენკოს მოწვევის მომხრე. ზოგიერთი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საკმარისია, ქვეყანა საგარეო საქმეთა მინისტრმა წარადგინოს (ლუკაშენკოს წინააღმდეგ განსაკუთრებით ჰოლანდია აქტიურობს). შეიძლება ევროკავშირისთვის ბელარუსის სამინიო პრობლემები არც იყოს მთავარი და ბელარუსის პარლამენტის (2 აპრილს იწყება სესია) მხრიდან აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" აღიარების საქმეში სიკვანძის შეტანას ელოდებოდეს. ალბათ ამაზე უფრო დაამოკიდებული ლუკაშენკოს სამიტზე მიწვევაც და მისი შემდგომი ვოიაჟებიც ევროპაში.

P.S. 30 მარტს უკვე ცნობილი გახდა, რომ ბელარუსის პარლამენტის საგაზაფხულო დღის წესრიგში არ დგას საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარების საკითხის განხილვა. ეს დღის წესრიგი საბოლოო არ არის, მაგრამ, ექსპერტთა ვარაუდით, აღნიშნული საკითხი იქ ალბათ არც მოხვდება. ისე რუსეთის პრესის რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, პირველ რიგში, სწორედ ამით იყო დაინტერესებული. რუსული მედია ლუკაშენკოს "ვირემპაკას" და "ქვეშიდან გამოძრომის" კარგ სპეციალისტს უწოდებს.

"კომერსანტის" მიხედვით მოამზადა ივა შილაკაძემ

სულიმ იამადაევის ცხედარი მის ძმას გადაეცა

სააგენტო "რია-ნოვოსტის" ინფორმაციით, დუბაის პოლიციის მთავარ სამმართველოში სულიმ იამადაევის გარდაცვალების ფაქტს უკვე ოფიციალურად ადასტურებენ. წყაროსვე ინფორმაციით, იამადაევის ცხედარი მის ძმას, ისა იამადაევს გადაეცა. თუმცა, ეს უკანასკნელი ძმის გარდაცვალების და, მით უმეტეს, მისთვის ცხედრის გადაცემის ფაქტს უარყოფს. დუბაიში მყოფი სულიმ იამადაევის ძმა და ცოლი ირმუნეზიან, რომ იამადაევი ცოცხალია და იგი ერთ-ერთ ჰოსპიტალში იყო გადაყვანილი. დუბაის იმ ჰოსპიტალის წარმომადგენლის განცხადებით კი, რომელიც, სავარაუდოდ, დაჭრილ იამადაევს მკურნალობდნენ, იამადაევის სამკურნალო დაწესებულებაში შემოსვლა ჩანანერებში არ იყო დარეგისტრირებული. დუბაიში რუსეთის ელჩის განცხადებით კი, სულიმ იამადაევის გარდაცვალების ფაქტის დასადასტურებლად საელჩოსთვის არავის მიუმართავს. გაზეთ "გალფ ნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში დუბაის პოლიციის ხელმძღვანელი ხალფან თამიმი იამადაევის გარდაცვალების ფაქტს ოფიციალურად ადასტურებს.

ბრიტანეთის არმია ერაყს ტოვებს

"ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ბრიტანეთის არმიის სარდლობამ ერაყის დატოვების პროცესი ოფიციალურად დაიწყო. კონტინგენტის დიდი ნაწილი, რომელიც 4 ათას სამხედრო მოსამსახურეს ითვლის, ქვეყანას 31 მაისამდე დატოვებს. ერაყელი ჯარისკაცების გასანგრთნელად ერაყში მხოლოდ 400 ბრიტანელი სამხედრო დარჩება. სამხრეთ ერაყში საერთაშორისო ძალების მმართველობას ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორი ენდი სელმონი ამერიკელ გენერალ-მაიორ მაიკლ ოუთს გადააბარებს, რომელიც მრავალრიცხოვან დივიზია "სამხრეთს" მეთაურობდა. ამერიკელებს, რომლებიც ბრიტანელ სამხედროებს ჩაანაცვლებენ, უპირველეს ყოვლისა, ერაყის უსაფრთხოების ორგანოების თანამშრომლების მომზადებასა და ასევე გზებზე კონტროლის უზრუნველყოფის განხორციელებას შეუდგებიან.

ბი-ბი-სი

ვიქტორ იუშჩენკო უკრაინაში საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას აპირებს

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო ქვეყანაში კონსტიტუციური რეფორმის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა პირმა უმაღლესი რადას დეკლარაცია გამოაცხადო. იუშჩენკოს ჩანაფიქრით, უკრაინის პარლამენტი უნდა გახდეს ორპალატიანი და მას უნდა დაერქვას "ეროვნული კრება". მისივე განმარტებით, ქვედა პალატა უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკურ ძალებს და პროპორციული პრინციპით ირჩეოდეს, ხოლო ზედა პალატა რეგიონების ინტერესებს უნდა ატარებდეს და მაჟორიტარული წესით კომპლექტდებოდეს. ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა, იუშჩენკოს ინიციატივის მიხედვით, მთავრობას უნდა დაეკისროს. "დუალიზმი ხელისუფლებაში უნდა აღმოიფხვრას," - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. მისი განცხადებით, პრეზიდენტი კვლავ ადამიანთა უფლებების დაცვის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის გარანტი უნდა იყოს. ამასთან, იუშჩენკოს აზრით, პრეზიდენტი საერთო არჩევნების საშუალებით მოსახლეობამ უნდა აირჩიოს.

მედიანიუსი

რადოსლავ სიკორსკი: "რუსეთი აუცილებლად უნდა გახდეს ნატო-ს წევრი"

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ნატოს გენერალური მდივნობის სავარაუდო კანდიდატი რადოსლავ სიკორსკი მიიჩნევს, რომ "რუსეთი აუცილებლად უნდა გახდეს ნატო-ს წევრი ქვეყანა, რათა დასავლეთი ევროპული და მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმაროს." "რუსეთი ჩვენ გვჭირდება, რათა ევროპული და მსოფლიო პრობლემები გადავწყვიტოთ, ამიტომ მიმანია, რომ ის ნატო-ში აუცილებლად უნდა გაერთიანდეს," - განაცხადა სიკორსკიმ. მისივე თქმით, "რუსეთის ნატო-ში გაწევრიანება ამ ქვეყნის მმართველობის აუცილებელი დემოკრატიული სისტემის ფორმირებას უზრუნველყოფს, მოქალაქეებს უფლებას მისცემს, შეიარაღებულ ძალებზე კონტროლი განახორციელონ, ასევე გადაწყვიტოს მის საზღვრებთან კონფლიქტებს."

პირველი

G20-ის კომუნიკაჟი პრესაში გაჟონა

მარკა იაზვილი



AFP - 2009

ოცეულის ჯგუფის სამიტის წინ, რომელიც ლონდონში 1 და 2 აპრილს ჩატარდება, დასკვნითი კომუნიკაციის პროექტის შესახებ კონფიდენციალურმა ინფორმაციამ ბოლო დღეების განმავლობაში უკვე ორჯერ გაჟონა პრესაში.

შაბათს კომუნიკაციის ამონარიდები გერმანულ გაზეთ "შპიგელში" დაიბეჭდა, კვირას კი გაველინა ბრიტანულ გამოცემა "ფაინენშალ თაიმსში" თითქმის სრული ტექსტი გამოქვეყნდა. ინფორმაციის პირველი გაჟონვის შემდეგ ლონდონის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა, რომ დაბეჭდილი მასალები რეალურს არ შეესაბამებოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ის ადგილობრივ პრესაშიც გამოჩნდა, დიდ ბრიტანეთში კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა.

დოკუმენტის პროექტში, რომელიც 24 პუნქტს შეიცავს, ნათქვამია, რომ საბანკო სექტორის მხარდაჭერა, სახელმწიფო ხარჯების გაზრდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის დამატებითი სახსრების გამოყოფა ის ღონისძიებებია, რომლებიც 2010 წლის ბოლოსთვის მსოფლიო ეკონომიკის გამოცოცხლებას და რეაბილიტაციას შეუწყობს ხელს.

დოკუმენტი შეიცავს დაპირებას პროტექციონიზმისგან თავის შეკავების და საერთაშორისო ვაჭრობის ახალი პირობების და წესების შესახებ ჩიხში შესული მოლაპარაკების დასრულებაზე. თუმცა ბრიტანული გაზეთი მიგვანიშნებს, რომ მასში არაფერია ნათქვამი ფინანსური სტიმულირების ღონისძიებათა ახალი პაკეტის შემუშავების და შემოღების საკითხისადმი ერთობლივ მიდგომაზე.

უბილიკაციის თანახმად, მომავალი ფორუმის მონაწილეები ნდობას გამოუცხადებენ "საბაზრო პრინციპებზე დამყარებულ ღია მსოფლიო ეკონომიკას, ფექტურ რეგულირებას და საიმედო გლობალურ ინსტიტუტებს, რომლებიც საერთაშორისო პროცესების სტაბილურ მიმდინარეობას უზრუნველყოფენ."

პროექტში აგრეთვე გამოხატულია მზადყოფნა, წარმოადგინონ "ექსპანსიონიზმის პოლიტიკიდან გამოსვლის" სტრატეგია და ითანამშრომლონ ამგვარი პოლიტიკის სხვა ქვეყნებზე არასასურველი ზეგავლენის შემცირების სფეროში. პროექტში ნათქვამია, რომ ყველა

ეს ნაბიჯი, საბოლოოდ, მსოფლიო ეკონომიკის 2 პროცენტით ზრდას და დამატებით 20 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას განაპირობებს.

გარდა ამისა, შეიქმნება ახალი საგანგებო ფინანსური საბჭოც, რომელიც დღეს არსებული ფინანსური სტრუქტურის საფუძველზე ჩამოყალიბდება, თუმცა გაიზრდება მისი წევრების რაოდენობა. საბჭოში წარმომადგენელი ყოფილება ოცეულის ჯგუფში შემავალ ყველა ქვეყანას.

სამიტამდე ცოტა ხნით ადრე რუსეთის ფედერაციამ შეიმუშავა საგანგებო რეკომენდაციები მსოფლიოში არსებული ეკონომიკური პრობლემების მოგვარების გზების შესახებ. დღეს რუსეთში აცხადებენ, რომ დეტალების გახმაურება არ შეიძლება, თუმცა აღნიშნავენ, რომ მათი რამდენიმე რეკომენდაცია პროექტში გათვალისწინებულია და უკვე მხარდაჭერაც მოიპოვა. კონკრეტულად კი ჩინეთმა დადებითად შეაფასა რუსეთის ინიციატივა საერთაშორისო ვალუტის შექმნის შესახებ და უკვე თავისი იდეებიც წარმოადგინა.

დასავლური პრესის განხილვის საგანი, ეკონომიკის გარდა, ამერიკულ-რუსული ურთიერთობების გადატვირთვაც არის, რომელიც, უცხოელი მიმომხილველების აზრით, სამიტის ერთ-ერთ მთავრ თემად იქცევა. გაზეთები შეგვახსენებენ, რომ სწორედ ფორუმის მიმდინარეობი-

სას შედგება ბარაკ ობამასა და დემეტრი მედვედევის პირველი ორმხრივი შეხვედრა.

"როცა საუბარია ორმხრივ ურთიერთობებზე, ეს კომპიუტერის გადატვირთვას ნამდვილად არ ჰგავს, - წერს "ფაინენშალ თაიმსის" ჟურნალისტი, **- და ისეთი მოვლენები, როგორც არის საქართველოსთან ავგისტოს ომი ან რუსეთის განცხადება პოლონეთის საზღვართან "ისკანდერების" განთავსების შესახებ, რა თქმა უნდა, არავის დაინტერესებს."**

უნდა გავისწავლოთ, რომ მთელი ამ ხმაურის უკან, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთობების "გადატვირთვის" ირგვლივ არის ატეხილი, ამერიკის სრულიად ნათელი ინტერესები დგას, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ისე უყურებს, როგორც თავისი მიზნების მიღწევის საშუალებას ირანის შეიარაღების კონტროლისა და ავღანეთის საკითხში.

პირველი საკითხი, რაშიც შეთანხმების ადვილად მიღწევას ყველა ელოდება, ბირთვული იარაღის კონტროლია, რომელთან პარიტეტი ორ ქვეყანას შორის ჯერ კიდევ ცივი ომის დროიდან არის დაცული.

იარაღის კონტროლის შესახებ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით დასრულებამ კი შესაძლოა, სხვა შეთანხმებების მიღწევასაც შეუწყოს ხელი. მაგალითად,

ირანისა და ავღანეთის საკითხში, - წერს გაზეთი "ნიუსვიკი". სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ პირველი აპრილის შეხვედრის დადებით შედეგით დასრულება ორივე ქვეყნის ლიდერებისთვის ხელსაყრელია, რადგან რეალურად მათ უფრო მეტი რამ აქვთ საერთო, ვიდრე შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს. მაგალითად, ერთ-ერთი საერთო პრობლემა ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხეა, კონკრეტულად კი ირანისა და ავღანეთის პრობლემა, რომელიც ორივე ქვეყნისთვის ერთნაირად აქტუალურია. სტატიის დასასრულს ავტორი ასკვნის, რომ ურთიერთობის წარმატებით "გადატვირთვის" შანსები ზუსტად 50/50-ზეა.

"ვაშინგტონ პოსტს" კი მიაჩნია, რომ აშშ-ს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება ყველა სფეროში სურს, თუმცა თავად ცნება "გავლენათა სფეროებს" უარყოფს.

გაზეთ "ფაინენშალ თაიმსისთვის" მიცემული ინტერვიუში ბარაკ ობამა გამოთქვამს იმედს, რომ "ოცეულის ჯგუფის" ქვეყნების სამიტი კარგ საფუძველს შექმნის მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის. ინტერვიუში მან აგრეთვე უარყო ინფორმაცია აშშ-ს მწვავე განხეთქილებაზე გერმანიასთან, საფრანგეთთან და სხვა წამყვან ევროპულ ქვეყნებთან.

"ვაშინგტონ თაიმსის" მიმომხილვე-

ავღანეთში ნატო-ს და რუსეთის ინტერესები

ივა შილაკაძე

საქართველოში ავგისტოს ომის შემდეგ შეწყვეტილი ნატო-სა და რუსეთის თანამშრომლობა, რომელიც ცოტა ხნის წინ ნაწილობრივ განახლდა, როგორც ჩანს, მეტ-ნაკლებად წარმატებული იქნება ავღანეთის საკითხში, შედარებით უფრო რთულად არის საქმე ირანის ბირთვული პროგრამისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხებში. ამ თემაზე მოსალოდნელია საკმაოდ მძიმე მოლაპარაკებები.

რუსეთის პრეზიდენტმა ორიოდ დღის წინ ზობისი-ს კორესპონდენტს ინტერვიუ მისცა, სადაც თავისი ხედვა ღიად დააფიქსირა. ლონდონში აპრილის დასაწყისში დიდი ოცეულის სამიტის ფარგლებში დაგეგმილია ბარაკ ობამასა და დემეტრი მედვედევის პირველი შეხვედრა, რის შემდეგაც საკითხების ნაწილი გაირკვევა. ჯერჯერობით რუსეთი კატეგორიულად უარს აცხადებს, რომ ირანის ბირთვულ პროგრამასთან თანამშრომლობა ნატო-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხში გაცვალოს. ცხადია, იგულისხმება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსება ჩეხეთსა და პოლონეთში, რაც უკვე დაგეგმილი აქვს ნატო-ს და რასაც რუსეთის ძალიან მწვავე უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ამერიკაში ახალი ად-

მინისტრაციის მოსვლის შემდეგ ამ პროექტის შეჩერებაზე დაიწყო ლაპარაკი, რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან გარკვეული დათმობის შემთხვევაში. რუსეთის პრეზიდენტი ადასტურებს, რომ ირანთან ბირთვულ სფეროში მისი ქვეყნის თანამშრომლობა მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათისაა, ეს მათ ირანისთვისაც არაერთხელ ღიად განუცხადებიათ. რაც შეეხება საფრთხეს, არც რუსეთი იგონძობს თავს კომფორტულად "ბირთვულ კლუბში" ახალი წევრების გაჩენის შემთხვევაში, მით უმეტეს, მისი საზღვრების სიახლოვეს. თუმცა მედვედევი მიიჩნევს, რომ ჯობს შეიქმნას ერთიანი (იგულისხმება რუსეთის მონაწილეობით) ანტიარაკეტო სისტემა "ტერორისტული" თავდასხმების მოსაგერიებლად და არა მხოლოდ ნატო-ს დამოუკიდებელი სისტემა რუსეთის სიახლოვეს, როგორც რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, მათთვის "წევრების მოსამლეულად". რუსეთის პრეზიდენტმა დასძინა, რომ "გაცვლის" შემთავება არც ამერიკის მხრიდან ყოფილა, თუმცა ორივე ეს საკითხი აუცილებლად განიხილება მისი და ბარაკ ობამას შეხვედრის დროს.

უფრო "რბილია" რუსეთის პოზიცია ავღანეთთან მიმართებაში. ალბათ იმიტომაც, რომ რუსეთიც "შენუხებულია" ავღანეთიდან მომავალი ნარკოტრაფიკით და ამ ჭუჭყიანი ფულით

დაფინანსებული ექსტრემისტული დაჯგუფებებით. რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ კიდევ არსებობს საფრთხეები და რუსეთი ამის აღმოსაფხვრელად ნატო-ს წინაშე ადრე აღებულ ყველა ვალდებულებას შეასრულებს. თუმცა მედვედევი მიიჩნევს, რომ ადრე თუ გვიან ავღანეთში მაინც უნდა შეიქმნას "ნორმალური, განვითარებული პოლიტიკური სტრუქტურა" და შეუძლებელია ამ ქვეყნის მუდმივად მართვა საზღვარგარეთიდან, ალიანსის მეშვეობით.

წინა კვირამ მოსკოვში, თანამშრომლობის შანსის ორგანიზაციის ეგადა, ავღანეთისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გაერო-ს გენერალურმა მდივანმა, ნატო-ს მაღალჩინოსნებმა და ამერიკისა და ირანის (!) დიპლომატებმა. ამ კონფერენციაზე რუსეთის პოზიცია ლავროვმა ვრცლად წარმოადგინა, რომელმაც მიაჩნია, რომ მისი ქვეყანა ავღანეთის საკითხში ნატო-სთან თანამშრომლობის გადამაგებზეც თანახმაა და მხოლოდ თავისი სამხედრო ძალით მოქმედებას არ აპირებს. იქვე რუსეთი მოითხოვს, რომ არჩევნების წინ ავღანეთში არ უნდა მოხდეს პრეზიდენტ ყარზაისა და ავღანეთის ლეგიტიმური სტრუქტურების დისკრედიტაცია, რათა ამით არ ისარგებლონ "თალიბანმა" და "ალ-კაიდა". უფრო

წარმომადგენლობითი კონფერენცია ავღანეთის თემაზე 31 მარტს ჰააგაში გაიხსნება, რომლის მუშაობაშიც 80-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის პან გი მუნი, სერგეი ლავროვი და ჰილარი კლინტონი.

ნელ-ნელა ცხადი ხდება ისიც, თუ რატომ არის დასავლეთი ასე დაინტერესებული რუსეთთან თანამშრომლობის აღდგენით. მათ ძალიან სერიოზული პრობლემები აქვთ სამხრეთში, პაკისტანის გამო. აშშ-ს შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ მაიკ მალენმა განაცხადა, რომ პაკისტანის სამხედრო დაზვერვის თანამშრომლებს (ISI) კონტაქტები აქვთ ბოვეიკებთან როგორც ავღანეთის, ასევე ინდოეთის საზღვართან. დაახლოებით იგივე აზრი უფრო მეტწილად გამოთქვა აშშ-ს სამხედრო ძალების მეთაურმა ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში დევიდ პეტრეუსმა. პრობლემა ტვირთების გატარება, აგრეთვე მიკვლეული ბოვეიკების განადგურება, რომლებსაც პაკისტანელები წინასწარ აფრთხილებენ. ამერიკელები ამ სიტუაციის სასწრაფოდ შეცვლას მოითხოვენ. არის სამიშრობა, რომ პაკისტანმა დასავლეთის ნდობა დაკარგა. პრეზიდენტმა ობამამ წინა კვირაში ავღანეთთან მიმართებაში ამერიკის ახალი სტრატეგია გამოაქვეყნა. ამ გეგმის თანახმად, ნელს

ლი ჯონ მაკპოუ მიიჩნევს, რომ ჯორჯ ბუშის სტრატეგიის შეცვლასთან ერთად, კარგი იქნებოდა, აშშ-ს მოემსინა, თუ რას ამბობს თავად რუსეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გაჩნდეს ტრადიციულ მახეში მოხვედრის საფრთხე, როდესაც სასურველი რეალობად გვეჩვენება.

სანამ რუსეთთან სტრატეგიული შეიარაღების კონტროლზე დაიწყებს მოლაპარაკებას, აშშ-მ უნდა დაადასტუროს თავისი ერთგულება კოლექტიური უსაფრთხოების საკითხების და მათ შორის ბირთვული იარაღისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების მიმართ. **"ეს არის ყველაზე მცირე, რისი გაკეთებაც ჩვენი ჩეხი და პოლონელი მოკავშირეებისთვის შეგვიძლია,"** - მიანიჩა მაკპოუს.

ბრიტანულმა "გარდიან"-მა დიმიტრი როგოზინის შესახებ გამოაქვეყნა სტატია, სადაც რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი ნატო-ში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ურჩევს, რომ **"არ არის საჭირო არასრულფასოვნების კომპლექსის სამკურნალოდ მიმართო ფსიქონალიტიკოსს, რომლის სახელია ნატო."**

როგოზინის აზრით, სამხრეთ ოსეთის ომზე რეაქციამ აჩვენა, რომ დასავლეთი რუსეთის მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში თავის პარტნიორად არ მიიჩნევს და მას ჯერ კიდევ ისე უყურებს, როგორც მეტოქეს. დღეს, როდესაც აშშ-ს ახალ ადმინისტრაციას რუსეთთან ურთიერთობის დაწყება სუფთა ფურცლიდან სურს, აუცილებელია, რუსოფობიური მითები და სტერეოტიპები წარსულს ჩაბარდეს, - მიაჩნია როგოზინს.

თავის მხრივ, რუსეთში ფიქრობენ, რომ გლობალური საფრთხეების პირობებში თანამშრომლობა აუცილებელია. **"ჩვენ მყარად გვაქვს გადაწყვეტილი, რომ საერთო პრობლემები დასავლეთთან ერთად მოვაგვროთ,"** - წერს როგოზინი. ამ თანამშრომლობისთვის ძირითად და კანონიერ მექანიზმად უნდა იქცეს შეთანხმება ევროპული უსაფრთხოების შესახებ, რომელიც მსოფლიოს რუსეთთან შესაფერისად, - მიაჩნია როგოზინს.

ავღანეთში გასაგზავნად ძალებს კიდევ 4 ათასი კაცი დაემატება. ისინი ადგილობრივ პოლიციას და უშიშროებას მუშაობაში დაეხმარებიან. ამერიკის ეს ახალი გეგმა მოიხონეს როგორც ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ, ასევე პაკისტანის პრეზიდენტმა ასიფ ალი ზარდარიმ.

საინტერესოა, რომ დაახლოებით ორი კვირის წინათ ნატო-სა და ირანის წარმომადგენლებს შორის საინფორმაციო შეხვედრა შედგა - პირველად შაჰის რეჟიმის დამხობის შემდეგ. ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე მარტინ ერდმანი შეხვდა ირანის ელჩს ევროკავშირში ალი ამგარ ხაჯის. ნატო-ს ოფიციალურ წარმომადგენელ ჯეიმს აპატურაის სიტყვებით, განიხილეს, ძირითადად, ავღანეთის საკითხები. ირანის მხარემ დაადასტურა, რომ მონაწილეობას მიიღებს ჰაავის კონფერენციაშიც. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ირანთან დიპლომატიის დაწყება კარგი ნიშანია. ჯერჯერობით სერიოზული საკითხები, ცხადია, არ განიხილება და ლაპარაკია ავღანეთში ტვირთების ირანის გავლით მიწოდებაზე.

როგორც ჩანს, უახლოეს წლებში ბევრი რამ, მათ შორის დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობებში, ენერგეტიკის გარდა, ასევე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ადვილად მოხერხდება ავღანეთის მთლიანად (?) გაკონტროლება.

რევიუ



ნიუ იორკში კლოუნების ფესტივალი მიმდინარეობს. სანახაობა კი მედისონ სკვეა გარდენის საცირკო არენაზე იმართება. ფესტივალში მთელი მსოფლიოდან ჩამოსული კლოუნები მონაწილეობენ, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში ნიუ იორკის ქუჩებში დასეირნობენ. იმპროვიზებულ წარმოდგენებს მართავენ და ამგვარად უწევენ პოპულარიზაციას საკუთარ ხელოვნებას.

ადმოჩენა ქართული ხელოვნების სანახებში

"ადმოჩენა ქართული ხელოვნების სანახებში" - სწორედ ასეთი სათაურით ამცნო ნიდერლანდების ერთ-ერთმა წამყვანმა საერთაშორისო საარტისტო მენეჯმენტის სააგენტომ Interartists Amsterdam Classical Music Management ფართო საზოგადოებრიობას იმის შესახებ, რომ ცნობილი ქართველი დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე გახდა ამ სააგენტოს არტისტი.

"უდიდესი სიამაყითა და ბედნიერების გრძნობით ვაცხადებთ ჩვენი თანამშრომლობის შესახებ 40 წლის ქართველ დირიჟორთან გოგი ჭიჭინაძესთან. გვწამს, რომ ის დაიკავებს დამსახურებულ ადგილს ჩვენი დროის დიდ დირიჟორებს შორის. ღრმად ემოციური, მომაჯადოებელი მუსიცირება, შერწყმული მის დიდ შინაგან ძალასთან თანაბრად იპყრობს როგორც მსმენელს, ასევე ორკესტრის მუსიკოსებს" - წერია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.interartists.nl).



სიკოსები და მუსიკალური კოლექტივები, მათ შორის, იური ბაშმეტი, ვადიმ რეპინი, მაქსიმ ვენგეროვი, მიშა მაისკი, გერდ ალბრეხტი, კლაუს პეტერ ფლორი, ალექსანდრ კნიაზევი, საშა გიოცელი, ბარი დუგლასი, ბრუნო ველი, ერი კლასი, კრისტიან ლინდბერგი, კატია სკანავი და სხვა.

გოგი ჭიჭინაძე პირველი ქართველი დირიჟორია, რომელიც ამ სააგენტომ თავის რიგებში შეიყვანა (სააგენტოს არტისტთა შორის არის კიდევ ერთი ქართველი მუსიკოსი, პიანისტი ნინო გვეტაძე). ეს მოვლენა სავარაუდოდ გოგი ჭიჭინაძის წარმატებულ კარიერაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფეხური გახდება, რომელიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მისი, არამედ ქართული საშემსრულებლო ხელოვნების წარმოჩენასა და პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე.

P.S. გოგი ჭიჭინაძემ 1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი, პარალელურად გაიარა საოპერო სიმფონიური დირიჟორობის სრული კურსი. 1994-1995 წლებში ჩააბარა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურაში საოპერო და სიმფონიური დირიჟორობის სპეციალობით. იმავე წლებში გაიარა სტაჟირება სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრში. 1992-2002 წლებში თანამშრომლობდა საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციის სიმფონიურ ორკესტრთან. 1992 წლიდან - ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრთან,

1994 წლიდან ბათუმის სიმფონიურ ორკესტრთან. 1995-2004 წლებში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი იყო. 1994-1995 წლებში თანამშრომლობდა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორკესტრთან. 1996-1997 წლებში თბილისის საფესტივალო კამერული ორკესტრის მთავარი დირიჟორი იყო. 1998 წლიდან თანამშრომლობს სომხეთის ფილარმონიულ ორკესტრთან. 2000 წლიდან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის პედაგოგია. ამავე წელს გახდა დირიჟორთა ტოკოს საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის ფინალისტი და დიპლომანტი. ერთი წლის შემდეგ კი თანამშრომლობდა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის ორკესტრთან. 2003 წელს ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტურ ორკესტრს. 2004 წლიდან გოგი ჭიჭინაძე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე და დირიჟორია.



აფიშა

1 აპრილი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
მოხუცი ჯამბაზები
რეჟისორი გოჩა კაპანაძე
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
პიგმალიონი
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 20.00

თეატრი სხვენში
პეიზაჟს აკლია სიტბო
რეჟისორი ციცილო კობიაშვილი
დასაწყისი: 20.00

თავისუფალი თეატრი
ქალთა გულის მპყრობელი
დასაწყისი: 20.00

თეატრი ვერიკო
აგრაკი
დასაწყისი: 19.00

კინო

"რუსთაველი"

გასეირნება ყარაბაღში 2: კონფლიქტის ზონა
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00

"მადაგასკარი 2"

დასაწყისი: 12.14; 14.00; 15.45; 17.30

"დასპეროს თავგადასავალი"

დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.00

მილიონერი გარეუბნიდან

დასაწყისი: 13.15; 15.30; 17.45; 20.00; 22.15

"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"

დასაწყისი : 19.30; 21.30

"ამირანი"

გასეირნება ყარაბაღში 2: კონფლიქტის ზონა
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15

ვარდისფერი პანტერა 2

დასაწყისი: 22.15

"დასპეროს თავგადასავალი"

დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00

გამოფენა

TBC ბანკის გალერეა

ზაალ სულაკაურის სტუდიის მოსწავლეთა გამოფენა

არა, იარაღო!

თამარ ჯიქნაველიძე

გავერთიანდეთ სამოქალაქო მშვიდობისათვის, - ამ მონოდებიტით გუშინ, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ხელოვანები და სპორტსმენები შეიკრიბნენ.

მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში მათ საჯაროდ წაიკითხეს დეკლარაცია, რომელსაც, მოგვიანებით, ხელი მოაწერეს. მონოდებები იქ, ძირითადად, პოლიტიკურ ძალთა მისამართით ისმოდა და ცივილურ დიალოგს, არეულობის თავიდან აცილებასა და მშვიდობიანი სიტუაციის შენარჩუნებას ითვალისწინებდა.

პოლიტიკური გაერთიანების პარალელურად, შეკრებულმა საზოგადოებამ მიმართეს. საზოგადოებამ ხელისუფლებას მოქალაქეთა ძალადობისგან და ტერორის საფრთხისგან დაცვა უნდა მოთხოვოს. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მშვიდობიანი პოლიტიკური პროცესისთვის აუცილებელი გარემო და თითოეული მოქალაქის თავისუფლება, - ასეთი იყო შეკრებილთა მთავარი მოთხოვნა.

საკონფერენციო დარბაზში იმყოფებოდნენ, ძირითადად, კულტურის სფეროს წარმომადგენლები, მაგალითად: თბილისის თეატრების მმართველები, მსახიობები, მწერლები, მხატვრები, ასევე, სპორტსმენები. თვალს მოკრავდით: ეკა მაზნიშვილს, ზაალ ჩიქობავას, ზურა ყიფშიძეს, მიშა მესხს, ბესიკ ხარანაულს, დათო გომართელს, გიორგი ასანიძეს და სხვებს.

მას შემდეგ, რაც დეკლარაციაზე ხელის მოწერის პროცესი დაიწყო, გავრცელდა ლოგო, რომელიც შავ იარაღზე გადასმულ ნითელ ხაზს გამოსახავდა. ის, შესაძლოა, ამ გაერთიანების ნიშანი გახდეს. საგანგებოდ შეკრებილთა მთავარი ლოზუნგები იყო: - არა, იარაღო! და არ გვინდა ქაოსი და წარსულში დაბრუნება.

პირველად სიტყვა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ წარმოთქვა: - დღეს აქ ისეთ სახეებს ვხედავ, მთელი ჩვენი ქვეყნისთვის რომ საამაყოა. იმედი მაქვს, სულ მალე მხოლოდ ამ აუდიტორიაში კი არ გვესტუმრებით, არამედ იმ



განახლებული საექსპოზიციო დარბაზების დასათვლიერებლად მოხვალთ, სადაც ჩვენი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი საგანძური დაიდებს ბინას.

მუზეუმში ყოველთვის შორს იყო პოლიტიკისგან, მაგრამ 90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენები მან საკუთარ თავზე იწვნია და ჩვენ აღარ გვინდა, რომ ეს ტრაგედია განმეორდეს. ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება უფრო გაზრდილია და სამოქალაქო დაპირისპირებაში მონაწილეობას აღარ მიიღებს. დღევანდელი შეკრების მიზანია სხვადასხვა ადამიანებმა საკუთარი პოზიცია გამოხატონ იმისათვის, რომ საქართველოში იყოს მშვიდობა და ეს ქვეყანა განვითარდეს.

მიშა გიორგაძე: - ჩვენ ამ შეკრების ორგანიზებით პოლიტიკაში არ ვერვით და არც დეკლარაციის ტექსტია ვინმეს საწინააღმდეგოდ მიმართული. ასეთ დროს ნებისმიერ მოქალაქეს უნდა შეეძლოს საკუთარი მოსაზრება გამოხატოს... ჩვენ აღარ გვინდა ქაოსი და წარსულში დაბრუნება!.. იმედი მაქვს ჩვენი საზოგადოება ამას გაიაზრებს და არავის მისცემს უფლებას მისი ნება სათავისოდ გამოიყენოს.

სიმონ მასხარაშვილი: - დღეს ძალიან ბევრი თვლის, რომ ის, რაც ოცი წლის წინათ გავიარეთ, აღარ განმეორდება... არადა, ამის საშიშროება არსებობს და სწორედ ამიტომ შევიკრიბეთ ჩვენ აქ, რათა ყველანი სამოქალაქო მშვი-

დობისათვის გავერთიანდეთ.

მნიშვნელობა არა აქვს როგორი მთავრობა ან პოლიტიკური პარტიები გვყავს. ჩვენი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ჩვენი ერთიანობა, ურთიერთობა და საერთო ენის გამოხატვა. არ არსებობს პრობლემა, რომელზე დალაპარაკებაც არ შეიძლება, ყველაზე რადიკალურზედაც კი... თუ დავინახავთ იმას, რაც ერთმანეთთან გვაშორებს, აღმოვაჩინოთ სიყვარულს და თავისუფლებას ჩვენს გულში, მაშინ, ვფიქრობ, ყველაფერი შეიცვლება. არა, იარაღო! - ასეთია ჩვენი მონოდება. უნდა შედგეს დიალოგი, რომელსაც დღეს ალტერნატივა არ გააჩნია...

როგორც ხედავთ, სამოქალაქო მშვიდობისათვის გაერთიანებულთა სიტყვებში ისმოდა შეტყობინებები, რომლებიც ბევრმა აპრილის თვეში სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების მორიგ მცდელობად აღიქვა.

დეკლარაციის ტექსტს რაც შეეხება, ასეთი შინაარსისაა:

ძვირფასო თანამოქალაქე,

ბოლო დროს უკიდურესად დაძაბულმა შიდაპოლიტიკურმა ვითარებამ შესაძლოა ჩვენი ქვეყანა ჩიხში შეიყვანოს. პოლიტიკურ ძალთა უუნარობამ, ანარმონი ცივილიზებული დიალოგი, იმპულსი მისცა საზოგადოებისთვის უკიდურესად საშიში კრიმინალური ჯგუფების გააქტიურებას.

ჩვენ, ქართული საზოგადოების წარმომადგენლები, ვაც-

ნობიერებთ რა ჩვენს პასუხისმგებლობას ქვეყნის ანმყოფა და მომავლის წინაშე, მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას:

- პოლიტიკური უთანხმოებები გადაჭრან მხოლოდ პოლიტიკური დიალოგის გზით;

- მკვეთრად გაემიჯნონ ნებისმიერ ძალადობრივ გეგმასა და ქმედებას;

- არ დაუშვან დემოკრატიული უფლებების, კერძოდ სიტყვისა და თავშეყრის თავისუფლების ზოროტად გამოყენება მთლიანად დემოკრატიული სისტემისა და ქვეყნის თავისუფლების საზიანოდ;

- არ დაუშვან საქართველოს დაბრუნება არცთუ შორეული წარსულის კრიმინალურ ქაუსში;

- განსაკუთრებით აშკარა გარე საფრთხეების პირობებში, მოხდეს ძირითად საკითხზე - სამოქალაქო დაპირისპირების არდაშვებაზე - ფართო პოლიტიკური კონსენსუსი.

მოვუწოდებთ საზოგადოებას:

- მოვთხოვთ ხელისუფლებას, დაიცვას მშვიდობიანი მოქალაქეები, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა, ძალადობისა და ტერორის საფრთხისგან;

- უზრუნველყოს მშვიდობიანი პოლიტიკური პროცესისთვის აუცილებელი გარემო და ყველა მოქალაქის თავისუფლება.

ელვის პრესლის ლექსი გაიყიდა

Giuseppe Verdi


La Traviata

ჯუზეპე ვერდი ტრავიატა

საკონცერტო ვერსიონი CONCERT VERSION

დამდგმელი დირიჟორი CONDUCTOR
ზაზა აზმაიპარაშვილი ZAZA AZMAIPARASHVILI

29 მარტი 01, 03 აპრილი 2009 19.00



პრესლი ამ ლექსს კონცერტებზე ხშირად კითხულობდა, ასევე ხშირად

იყენებდა მას ავტობიოგრაფიულ დასაყენებლად. ეს ლექსი დიდი პოპულა-

რობით სარგებლობდა და არსებობს მოსაზრება, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ დროს ცნობილი ხუმრობა იყო, რომელიც ელვის პრესლიმ ჩაინერგა, რომ არ დაევიწყებოდა.

ჩიტზე დაწერილი ლექსის გარდა, ინტერნეტ-აუქციონზე საფოსტო ლია ბარათები, მედალიონები და ელვის პრესლის გამოსახულებით გაკეთებული ცხვირსახოცები გაიყიდა. ასევე, სხვადასხვა ნივთები და ტანსაცმელი მისი გარდერობიდან, კარატის სურთიფიკატი, მისი თითის ანაბეჭდებით, რომელიც პრესლიმ სკოლაში-მუშევრებში სწავლისას მიიღო. აუქციონზე გაყიდული ნივთების საერთო შემოსავალმა 510 ათასი დოლარი შეადგინა. ელვის პრესლის ქონებიდან გასაყიდად გატანილი იყო ასევე მისი თეთრი როიალი, თუმცა მისი გაყიდვა ვერ მოხერხდა. როიალის საწყისი ფასი 500 ათას დოლარს შეადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები მას მილიონ დოლარად აფასებდნენ.

თქვენი პირველი იგავ-არაკები


ელფის გამომცემლობის მორიგი სარეკლამო პატარა მკითხველს

ი ა ვ ა ჯ ა

იმისთვის, რომ ბავშვი ჩამოყალიბდეს, განვითარდეს და ცხოვრებას მომზადებული შეხედოს, ოჯახი, სკოლა და ზოგადად საზოგადოება მუშაობს. თუმცა არის კიდევ ერთი რგოლი, რომელიც ბავშვს აზროვნებას და ნებისმიერი ცხოვრებისეული დეტალის გააზრებას აჩვენებს - ამისთვის ერთ-ერთი ლიტერატურული ჟანრი, იგავ-არაკის ჟანრი არსებობს. ელფის გამომცემლობის მორიგი წიგნი სწორედ მათი კრებულია. ჩემი პირველი იგავ-არაკების წიგნი უკვე გაყიდვაშია და პატარა მკითხველს ელის.

საბავშვო გამოცემებით ცნობილია ელფის გამომცემლობამ ამჯერად თავი ამ ჟანრის საუკეთესო ნაწარმადგენლებს მოუყარა თავი და სულხან-საბა ორბელიანის, ეზოპის, ლევ ტოლსტოისა და ივანე კრილოვის იგავები ერთ წიგნად გააერთიანა (წიგნში ტოლსტოისა და კრილოვის ნაწარმოებები აკაკი წერეთლისეული თარგმანით შევიდა).

აღსანიშნავია, რომ ყველა იგავ-არაკი მეთოდურადაა დაამუშავებული და ბავშვთა ფსიქოლოგების მიერაა შერჩეული. გათვალისწინებულია ბავშვის ასაკობრივი ფსიქოლოგია, მის მიერ შინაარსის აღქმის, კითხვისა და ნაკითხულის ათვისების შესაძლებლობები, ლოგიკური აზროვნების, ყურადღებისა და კონცენტრაციის განვითარება ადრეული ასაკიდანვე და სხვა. სახალისო ილუსტრაციები და იგავთა პერსონა-



ჟების კომენტარები კი პატარებს შინაარსის გაგების, იდეის აღქმისა და დამახსოვრებაში დაეხმარება. ზოგი ილუსტრაცია კომენტარის გარეშეა მოცემული - აქ ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე აქცენტი თავად ბავშვს უნდა გააქეთოს. წიგნის სარჩევი მეთოდურადაა დალაგებული - მარტივიდან რთულსკენ, რაც ბავშვს ნაკითხულის აღქმას უფრო გაუადვილებს. წიგნის ბოლოს

მოცემულია პატარებისთვის გაუგებარი სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი.

როგორც წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, საკმარისია ბავშვს ერთხელ წაუკითხოთ მისი შინაარსი, რომ შემდგომში ის დამოუკიდებლად მოისურვებს მის გადაკითხვას, რაც ისევე და ისევე ტექსტების საინტერესო შინაარსისა და მისი უკეთესად გაგების სურვილით იქნება გამოწვეული. პატარა

მკითხველი სახალისო ისტორიების დახმარებით გაიგებს განსხვავებას კეთილსა და ბოროტს, მტერსა და მეგობარს შორის. ეცოდინება, რატომ არ უნდა ენდოს უცხო ადამიანს, რას ნიშნავს სიხარბე, წარმატებული ადამიანი, რატომ არის საჭირო იყო ჭკვიანი და განათლებული, რა შედეგი მოაქვს ფარისევლობას და სხვა.

თინათინ დიდებულიძე, ელფის გამომცემლობის დირექტორი: ქართული წიგნის ბაზარზე იგავ-არაკების არც ისე ბევრი წიგნი არსებობს. ბავშვისთვის კი აუცილებელია ალფაბეტიკური და ქვეტექსტებით შექმნილი ნაწარმოებების კითხვა, რაც მას აზროვნებას აჩვენებს და მსოფლმხედველობის უზრდის. ვფიქრობ, ჩემი პირველი იგავ-არაკების წიგნი მშვენიერი სარეკლამო იქნება ბავშვებისთვის და მისი მეშვეობით ბევრ რამეს ისწავლიან.

წიგნის ილუსტრაციები ახალგაზრდა მხატვრებმა ლელა გარდავამ, სოფო ელიაშვილმა, ქეთევან ბასილაშვილმა და სოსო შალიბაშვილმა შექმნეს. ელფის გამომცემლობა დიდი ხანია ხელს უწყობს ახალგაზრდა ილუსტრატორებს, რომლებმაც ამ გამოცემლობის უკვე არა ერთი საბავშვო წიგნი დაასურათეს. ჩემი პირველი იგავ-არაკების წიგნის რედაქტორია მეთოდისტი და ფსიქოლოგი თამარ ადამია - ავტორი ელფის უკვე კარგად ნაცნობი ბესტსელერებისა, მხარული დედაენა და ჩემი პირველი სახელმძღვანელო.


ტროცკისა და აჭანყებულ დორობოზა

ორუელს "ცხოველების ფერმაში" გამოცემაზე თომას ელიოტმა უარი უთხრა

ეს ამბავი ზუსტად 65 წლის წინ მოხდა, თუმცა მის შესახებ აქამდე მხოლოდ ამ ისტორიის უშუალო მონაწილეებმა იცოდნენ, ახლა კი მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი. რამდენიმე დღის წინ ცნობილი ამერიკელი პოეტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, თომას ელიოტის ქვრივმა მისი მეუღლის მიერ ჯორჯ ორუელისთვის მიწერილი წერილი გამოაქვეყნა, რომლის შინაარსსა და მასთან დაკავშირებულ ისტორიას გაზეთი The Daily Telegraph-ი აქვეყნებს. წერილთან დაკავშირებული ისტორია კი აუცილებლად შევა ტელეკომპანია BBC-2-ის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში 40-იანი წლების ამერიკული მწერლობის შესახებ.

წერილი იმ დროს დაიწერა, როდესაც ელიოტი გამომცემლობა Faber and Faber-ს ხელმძღვანელობდა. მისი ტექსტი კი ორუელის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ნაწარმოებს, "ცხოველების ფერმას" ეხება. ორუელს ნაწარმოებზე მუშაობა ახალი დამთავრებული ჰქონდა და ელიოტს მისი გამოცემა სთხოვა. პასუხად კი უარი მიიღო - ელიოტმა რომანში აღწერილი ამბის გამო ორუელს ტროცკისტობა და არადამაჯერებლობა დასწამა. თუმცა იმავე წერილში ავტორს სატირულ ენას და პირდაპირობას უწონებს.

როგორც ცნობილია, რომანის ტროცკისტულ ხასიათზე არც სხვა ლიტერატორები დავობენ.



მიჩნეულია, რომ ფერმაში მცხოვრები ღორი გუნდა სწორედ ტროცკისტანა გაიგივებული. იგი დანარჩენ ცხოველებთან ერთად ფერმაში აჯანყებას ამზადებს, თუმცა მის გეგმებს მეორე ღორი სახელად ნაპოლეონი ჩაშლის, გუნდას გააგდებს და ფერმის ერთპიროვნულ მმართველად იქცევა. ცნობილია ისიც, რომ ნაპოლეონის პროტოტიპად რომანში სტალინი მიჩნევა.

ელიოტი წერილში იმასაც აღნიშნავს, რომ არაა დარწმუნებული, რომ ორუელი საღად აღიქვამს და ახალიზებს მსოფლიოში მიმ-

დინარე პოლიტიკურ მოვლენებს. არსებობს ვარაუდი, პოეტი ამ შემთხვევაში გულსიმობდა, რომ არ ღირდა საბჭოთა კავშირისა და სტალინის კრიტიკა იმ ფონზე, რასაც ეს ქვეყანა ფაშისტურ გერმანიასთან საბრძოლველად აკეთებდა. ელიოტის პოზიციის გამართლება კი მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება.

ჯორჯ ორუელის "ცხოველების ფერმაში" მაინც გამოიყენა, თუმცა ერთი წლის დაგვიანებით. რომანი მაშინვე მოექცა მკითხველისა და ლიტერატორების ყურადღების არეალში, რაც მისმა ალფორ-

ულმა შინაარსმაც განაპირობა. ცხადია, წიგნი საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო, ისევე როგორც ორუელის ყველა ნაწარმოები. ეს აკრძალვა მხოლოდ "გარდაქმნის" შემდეგ მოიხსნა. ქართულად "ცხოველების ფერმა" შესანიშნავად თარგმნა დავით აკრანმა.

მიუხედავად იმისა, რომ ორუელი არასდროს მალავდა თავის ცივილურ დამოკიდებულებას სოციალიზმისა და ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ, ინგლისის მთავრობას მაინც ჰქონდა ეჭვი, რომ იგი კომუნისტების აგენტი იყო. 2007 წელს მწერლის პირადი დოსიე გამოაქვეყნეს, რომელშიც საკმარისი საინტერესო ფაქტები აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ბრიტანული დაზვერვა მწერლის სიკვდილამდე აწარმოებდა მასზე თვალთვალს. მაგალითად დოსიეში ვინმე სერუანტ იუნგის პატაკია, რომელშიც ვკითხულობთ: "ეს ადამიანი კომუნისტურ იდეოლოგიას ავრცელებს, ხოლო მისი მეგობრები არ მალავენ, რომ ბევრჯერ უნახავთ კომუნისტების შეკრებაზე."

1949 წელს ჯორჯ ორუელმა კიდევ ერთი ანტიუტოპიური რომანი "1984" გამოსცა, რომელსაც ლიტერატორები "ცხოველების ფერმის" ერთგვარ გაგრძელებად მიიჩნევენ. სწორედ ამ რომანში ამოიკითხა მკითხველმა პირველად შემდეგ უკვე ასე ნაცნობი ფრაზა: "უფროსი ძმა გითვალთვალებს"...

ბ. აუზინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის გამოსცემითა პრეზენტაცია

დღეს, 17 საათზე ჩუბინაშვილის ცენტრის მიერ 2008 წელს გამოცემული წიგნების პრეზენტაცია გაიმართება. მისამართი: ვალერუა ძკოლაპალა, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N 7. პრეზენტაცია ეწყობა მაგთი-ჯგუფის მხარდაჭერით.

2008 წელს ცენტრის მიერ გამოიცა შემდეგი წიგნები და ალბომები:

1. თეატრის მხატვრობა - 1920-1950". შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია (დ. ლებანიძე, ე. თუმანიშვილი, მ. ოკლეი);
2. თბილისური სადარბაზოები, (ც. კილაძე, მ. მექმარიაშვილი, თ. ვერსამია);
3. მცხეთის ჯვარა, (დ. თუმანიშვილი, თ. ხუნდაძე, დ. ხოშტარია);
4. დავით გარეჯის მონასტრები, (ა. ვოლსკაია, დ. თუმანიშვილი, მ. ბულია);
5. ქართული ქრისტიანული ხელოვნება, (დ. თუმანიშვილი, მ. დიდებულიძე, კ. მაჩაბელი, ნ. ჭიჭინაძე, ა. ოქროპირიძე, ლ. ხუსკივაძე, თ. საყვარელიძე, მ. კეცხოველი);
6. ზარათის ღმრთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა (ი. ხუსკივაძე);
7. თ. ვირსალაძე, ქართული მხატვრობის ისტორიიდან;
8. რაჭა (მინისძვრით დაზიანებული ძეგლები) ნ. ლალიძე, ლ. ნილოსანი;
9. ძველი ქართული ხელოვნება (ინგლისურ ენაზე - მ. დიდებულიძე, დ. თუმანიშვილი).

პრეზენტაციაზე ასევე წარმოადგენილია ქართული კულტურის ძეგლების ფოტოები, რომლებიც გადაღებულია ს.ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის მიერ. ლაბორატორი ფინქციონირებს 1973 წლიდან და მდიდარი კოლექცია აქვს.

1 აპრილი არის გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების დღეც.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი დაარსდა 2005 წელს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის (დაარსებულია 1941 წლის 1 აპრილი) და სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის (დაარსებულია 1973 წელს) გაერთიანების საფუძველზე. ცენტრი ექვემდებარება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს.

ინსტიტუტის ფუძემდებლის აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილისა და მისი კოლეგების (ვახტანგ ბერიძე, თინათინ ვირსალაძე, რუსუდან მეფენიშვილი, ლევან რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი, ზაქარია მაისურაძე, ნიკო ჩუბინაშვილი, სარა ბარნაველი, ვახტანგ ცინცაძე, გალიბეგაშვილი, ნ. ალადაშვილი, ე. პროვალოვა, რ. ყენია, მ. კარბელაშვილი, ი. გომელაური, თ. საყვარელიძე, ნ. ჯანბერიძე, ი. ლორთქიფანიძე, ლ. ხუსკივაძე, კ. მაჩაბელი, თ. სანიკიძე, ვ. დოლიძე, ნ. ანდლუაძე, ჯ. იოსებიძე, დ. თუმანიშვილი და სხვანი) რამოდენიმე თაობის თავდადებული შრომით დადგინდა ქართული ხელოვნების ისტორიული გზა, გამოიკვამა მისი ადგილი მსოფლიო კულტურაში, წარმოჩნდა მისი ღირსება-ღირებულება, რითაც ესოდენ ამაყობს ქართველი ერი.

ცენტრს ურთულეს პირობებში უხდებოდა თავისი საქმიანობის განხორციელება ვინაიდან 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში თბილისში საომარი მოქმედებების დროს ინსტიტუტის შენობა მთლიანად დაიწვა. მასთან ერთად განადგურდა იქ დაცული უნიკალური მასალები - ბიბლიოთეკის ნაწილი, ნახაზების და ანაზომების ფონდი, ფოტოთეკა, წერილობითი არქივი, სამუზეუმი ექსპონატები და სხვა. მას მერე ინსტიტუტი დროებით განთავსებული იყო ხუთ პატარა ოთახში მეცნიერებთა აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში, ინსტიტუტის ადგილას კი ლ. უკრაინკას ქუჩაზე სრულიად უკანონოდ აშენდა საცხოვრებელი სახლი. მხოლოდ 2007 წელს ინსტიტუტს (ამჟამად ცენტრს) გადაეცა მფლობელობაში 121 კვ. მეტრი რ. თაბუკაშვილის ქ. N5 შენობის მესამე სართულზე, რაც სრულიად არ უზრუნველყოფს ამ უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ცენტრის ნორმალური მუშაობის პირობებს, ხოლო უნიკალური ბიბლიოთეკის გადარჩენილი ნაწილის გამოყენება უშეძლებელია, ვინაიდან წიგნები ჯერაც ტომრებშია ჩანაწობილი.

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი (ყოფილი გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი) არის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევის, პოპულარიზაციისა და საკონსერვაციო პროგრამების შემუშავებისა და შესრულების უმდიდრესი ტრადიციების მქონე დაწესებულება.

ძკობალას" საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია მრავალი წლის განმავლობაში ინსტიტუტის სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგად გამოცემული წიგნები, მათ შორის, უცხოეთში გამოცემულიც, რასაც საბჭოთა პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხელოვნების საერთაშორისო დონეზე აღიარება-დაფასებისთვის.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი ალბომები და წიგნები სახელმწიფო დაფინანსებით არის გამოცემული. 2008 წელს გამოცემული წიგნების შექმნა შესაძლებელია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრში (თაბუკაშვილის ქ. N5, III სართული) და თბილისის წიგნების მაღაზიებში.

შპს "საქართველოს რეკონსტრუქცია" 2009 წლის 1 აპრილიდან აცხადებს საერთაშორისო ტენდერს საზეთ საპოხი მასალების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რეკონსტრუქცია" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს საზეთ საპოხი მასალების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 21 აპრილის ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რეკონსტრუქცია" შესყიდვების სააგენტო.

2. შესყიდვის ობიექტი:

ლოტი №	საქონლის დასახელება და თავისებურებანი	რაოდენობა	მოწოდების ვადა
1	ინდუსტრიული ზეთი „И-40“ (ან ანალოგი)	60 000 კგ	2009წ. II კვ
2	დიზელის ზეთი „M-14B2“ (ან ანალოგი)	120 000 კგ	60 000 კგ - 2009წ. II კვ 60 000 კგ - 2009წ. III-IV კვ
3	რედუქტორის ზეთი „СТП-2“ (ან ანალოგი)	60 000 კგ	2009წ. II კვ
4	საღერძე ზეთი „Л“ (ან ანალოგი)	60 000 კგ	2009წ. II კვ
5	საცხი СГС-Д (ან ანალოგი)	3 000 კგ	2009წ. ივნისი - ივლისი

3. მიწოდების ადგილი და პირობა: DDP თბილისი;

4. პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დასაშვებ კონკრეტულ ქართულ (დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე) ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინოს ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 21 აპრილის ჩათვლით 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რეკონსტრუქცია" შესყიდვების სააგენტო.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრიდან;

2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნიდან დღიდან.

ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 5%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნიდან დღიდან.

6. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. (არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში დღეს გარეშე: უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რეკონსტრუქცია" შესყიდვების სააგენტოში, ტელ 56-33-71 მაკა ჯუჯუნაშვილი; (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჯანიძე 56-46-96);

სატენდერო კომისია

О.О.О. «Грузинская железная дорога» с 1 апреля 2009 года объявляет международный тендер на закупку горюче-смазочных материалов

О.О.О. «Грузинская железная дорога», г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, объявляет международный тендер на закупку горюче-смазочных материалов и приглашает принять участие всех заинтересованных физических и юридических лиц.

1. Заинтересованные лица могут уплатить тендерный сбор в размере 500 (пятьсот) лари на реквизитах: А/О банк «Республика» центральный филиал: код – 220101757. Р/С – 10494921495.

Тендерная документация на грузинском языке выдается от 1 апреля 2009 года по 21 апреля 2009 года на основании **квитанций вместе с заявкой на выдачу тендерной документации** по адресу: - г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, **О.О.О. «Грузинская железная дорога»** Агентство закупок (3-этаж).

2. Объекты закупки

лот №	Наименование и особые свойства	Кол.	Время поставки
1	Индустриальное масло „И-40“ (или аналог)	60 000 кг.	II кв. 2009 г.
2	Дизельное масло „M-14B2“ (или аналог)	120 000 кг.	60 000 кг. – II 2009 г. 60 000 кг. – III-IV 2009 г.
3	Редукторное масло „СТП-2“ (или аналог)	60 000 кг.	II кв. 2009 г.
4	Осевое масло „Л“ (или аналог)	60 000 кг.	II кв. 2009 г.
5	Масло СГС-Д (или аналог)	3 000 кг.	июнь - июль 2009 г.

3. Условие и место поставки – DDP Тбилиси

4. Тендерные предложения и квалификационные данные претенденты должны предъявить в запечатанных конвертах, в двух экземплярах (Оригинал и его копия), заполненные на грузинском (допускается на русском и на английском языке) и/или с грузинским переводом заверенный нотариусом.

- Сроки предъявления документации: с 9-00 до 18-00 часов 21 апреля 2009 года;

- Документация должна быть представлена по следующему адресу: г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, **О.О.О. «Грузинская железная дорога»** Агентство закупок (3-этаж).

5. Квалификационные данные должны содержать следующую информацию:

Для юридических лиц:

1) Выписку из предпринимательского реестра.

2) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.

3) В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере 5% от **общей стоимости предложенного товара, срок действия которой должен быть не менее 60 календарных дней со дня открытия пакетов.**

Для физических лиц:

1) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.

2) Копию документа, удостоверяющего личность претендента.

3) Документ о регистрации инд./производителя.

4) В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере 5% от **общей стоимости предложенного товара, срок действия которой должен быть не менее 60 календарных дней со дня открытия пакетов**

6. Всем претендентам необходимо представить:

1. Подписанное (юридическим лицом и инд. производителем и заверенное печатью) тендерное предложение, срок действия которой должен быть не менее 30 дней (образец представлен в тендерной документации), в котором необходимо указать стоимость лота, срок действия тендерного предложения (**не допускается аванс и акредитив**).

2. Стоимость тендерного предложения должна быть представлена в национальной и в другой валюте (**без НДС**). В случае предъявления в другой валюте, оценка тенд. предложения будет произведена согласно курсу Национального банка Грузии в день открытия пакетов.

3. В случае выявления победителя претендент до оформления контракта должен предъявить гарантию (только с банка) по выполнению условий контракта в размере 5% стоимости контракта, срок действия, который должен на 50 календарных дней превышать срок окончательного исполнения обязанностей предусмотренных в договоре.

Претендент не будет допущен к оценке, если в отношении претендента ведется делопроизводство о неплатежеспособности и представленные им тендерные предложения и квалификационные данные не будут соответствовать вышеуказанным требованиям.

Дополнительную информацию заинтересованные лица могут получить в Агентстве закупок **О.О.О. «Грузинская железная дорога»**, тел: 56-33-71 **Мака Жужунაშვილი**, (Аппарат тендерной комиссии: Н. Конджария, 56-38-60, Т. Хокерашვილი 56-39-30, И. Лობჯანიძე 56-46-96.)

Тендерная комиссия

სპორტი

“დინამოს” ახალი სპონსორი ჰყავს

მომავალი სეზონიდან თბილისის დინამო, სავარაუდოდ, გერმანული ფირმა ზალერის სპორტული ფორმით შეიმოსება.

დინამოელთა ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ტექნიკურ სპონსორობაზე მოლაპარაკება დასრულებულია და რამდენიმე დღეში კონტრაქტი გაფორმდება.

გერმანიაში ზალერის ფორმით ბუნდესლიგის ორი გუნდი გამოდის - არმინია და კოტბუსი.

საქართველო-ბელორუსის ქართველები იმსახურებენ

1 აპრილს, რუსთავეში, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ბელორუსის 21 წლამდეელთა ნაკრებთან ამხანაგურმატჩს ჩაატარებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, მატჩს ქართველ მსაჯთა ოთხეული მოემსახურება: ლევან კვარაცხელია (მთავარი მსაჯი), მამუკა ელიკაშვილი, გურამ ჩიგოგიძე (ასისტენტები), ხვიჩა გაგნიძე (მეოთხე ოფიციალური).

თამაში სტადიონ ფოლადზე 15 საათზე დაიწყება.

“ზექსი” ყველაზე მეტს მოულობს

ფრანგულმა გამოცემა ფრანს ფუტბოლმა თანამედროვე ვარსკვლავების შემოსავლები შეისწავლა და დაადგინა, რომ მოქმედი ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტ ფულს დევიდ ბექჰემი მოულობს. მდიდართა ათეული ასე გამოიყურება.

1.დევიდ ბექჰემი	32.4 მლნ. ევრო
2.ლიონელ მესი	28.6
3.რონალდინიო	19.6
4.კრიშტიანუ რონალდუ	18.3
5.ტიერი ანრი	17
6.კაკა	15.1
7.ზლატან იბრაჰიმოვიჩი	14
8.უეინ რუნი	13.5
9.ფრენკ ლამპარდი	13
10.ჯონ ტერი	11.7

სომხებმა პოულსენს კარისკენ მიუთითეს

სომხეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი იან პოულსენი ორშაბათს თანამდებობიდან დაითხოვეს.

გასულ უქმეებზე 63 წლის სპეციალისტის ხელმძღვანელობით, კავკასიელებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ესტონეთთან ფრედ (2:2) ითამაშეს, რამაც დანიელი მწვრთნელის ბედი გადაწყვიტა.

მოსალოდნელია, რომ პოულსენს სომხეთის ფეხბურთის ფედერაციაში ტექნიკური დირექტორის პოსტს შესთავაზებენ.

სომხეთის ნაკრების დროებითი მწვრთნელის მოვალეობას პოულსენის თანაშემწე ვარდან მინასიანი შესასრულებს.

ექტორ რაულ კუპერი: "წინილახი შემოდგომა დაპირობალოთ"



მიხეილ აბაიშვილი

ჩემდა გასაკვირად, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი კვიპროსში განცდილი მარცხის მიუხედავად, ენერგიულად და საბრძოლო განწყობით მოვიდა პრესკონფერენციაზე, რომელიც გუშინ ჩატარდა. დღეს საქართველოს ნაკრები მიმდინარე შესარჩევ ციკლში ბოლოსწინა საშინაო შეხვედრას ჩაატარებს, რომელშიც მონტენეგროს უმასპინძლებს. სწორედ ამ მატჩს მიეძღვნა ბრიფინგი, რომელშიც არგენტინელმა სპეციალისტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არსად არ აპირებს გაქცევას და, მკვეთრად უარყოფითი შედეგების მიუხედავად, დასახული მიზნის მისაღწევად ყველაფერს იღონებს.

"ხმები იმის შესახებ, თითქოს ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგომას ვაპირებდე, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დავინიშნე, არავის შევპირებოვარ, რომ გუნდი აუცილებლად მოიპოვებდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს. თუმცა, ერთი პირობა ნამდვილად დავდე. კერძოდ, განვაცხადე: ჩემს თანაშემწეებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებდი იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრებისგან ბრძოლისუნარიანი, ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი გუნდი ჩამომეყალიბებინა. ვიღებ თქვენს კრიტიკას იმ არადამაკმაყოფილებული შედეგების გამო, რომელიც ამ ეტაპზე გვაქვს. თუმცა, მიმჩნია, რომ გუნდი ჩამოყალიბების სტადიაშია და სიტყვის გატყვევა არ მომინებს. როდესაც "ჩელსის" მწვრთნელად მოურჩინო დავინიშნა, მან პირობა დადო, რომ გუნდს ინგლისის ჩემპიონის გახდიდა, ოღონდ ამისთვის სამი

წელი მოითხოვა. ნუ დაგაინყვებდათ, რომ მოურჩინოს ამ დროს აბრაშოვიჩის მილიონები უმაგრებდა ზურგს და მიიღებდა ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელსაც ხელს დაადებდა. მეც ცოტა დროს მოგთხოვთ, თანაც არა სამ წელს, არამედ რვა თვეს. დეკემბერში ერთად ვნახოთ, როგორ ფეხბურთს ითამაშებს საქართველოს ნაკრები", - ნიწილების შემოდგომაზე დათვლა შემოგვთავაზა კუპერმა.

შედეგზე რომ ბევრი არ ვთქვათ, თამაშის ხარისხის თვალსაზრისით, არგენტინელი სპეციალისტი კვიპროსის წინააღმდეგ საკუთარი გუნდის მოქმედებით მაინცდამაინც უკმაყოფილო არ დარჩა.

"თქმა არ უნდა, საბოლოოდ ყველაფერს შედეგი განსაზღვრავს და ამიტომ კვიპროსთან მარცხს გამართლება არა აქვს. თუმცა, თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, დასაშვებად მიმაჩნია, რომ ის მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულებულიყო. მართალია, გოლი გავუშვით, მაგრამ ეს ერთი უხეში შეცდომის გამო მოხდა და არა მატჩის დინამიკიდან გამომდინარე. ზოგადად, ბურთს კარგად ვაკონტროლებდით და მასპინძლებს ჩვენს საჯარბომოსთან მიხლოებაც კი უჭირდათ. მეორე მხრივ, არც ჩვენ გამოვიჩრქოდით საგოლე და სახიფათო მომენტების სიმრავლით, თუმცა, რომ გავგმართლებოდა, მატჩი სულ სხვა შედეგით დასრულდებოდა. ეს მარცხი და ჩვენი გუნდის სატურნირო მდგომარეობა ჩემთვის კიდევ უფრო დიდი გამოწვევაა და მე ამ გამოწვევას ვიღებ", - აღნიშნა არგენტინელმა სპეციალისტმა.

კვიპროსის წინააღმდეგ მატჩში ჩვენმა ფეხბურთელებმა 6 ყვირთელი ბარათი მიიღეს. ამ "გადაყვირებებს" გამო დღეს ვერ ითამაშებენ ლობუანიძე, შამიაშვილი და ხიზანიშვილი. დანაკლისის შესავსებად კუპერმა ახალგაზრდული ნაკ-

რებიდან ორი მცველი და ორი ნახევარმცველი იხმო. მცველები - დავით გიგაური (გაგრა) და ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), ასევე ნახევარმცველები - მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი) და ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია). არ არის გამორიცხული, რომ ეს ფეხბურთელები (ან რომელიმე მათგანი) დღევანდელ მატჩში ვიხილოთ.

"ახალგაზრდული ნაკრებიდან გამოწვეული ფეხბურთელების ხვალინდელ მატჩში გამოყენებას არ გამოვიცხავ. თუმცა, ეს მეტად საფრთხილო თემაა. ნარუმატებლობის შემთხვევაში ამ ახალგაზრდებს მძიმე ფსიქოლოგიურ ტვირთად დაანებებათ ეს თამაში. ნაკრებში მოტივაციის პრობლემა არ დგას. ყველა საბრძოლველად შემართული და ხმები, რომ სატურნირო ინტერესის გამო ვინმეს ნაკლებად სურს ეროვნული გუნდის ღირსების დაცვა, სიმართლეს არ შეესაბამება. ყველას ძალიან გვჭირდება მოგება და ხვალ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ", - თქვა კუპერმა.

დღეისთვის ორი კინკლა ქულა გვაქვს და სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურს ვტკეპნით. ამის მიუხედავად, კუპერს მიაჩნია, რომ ღირსეულად გილზე შეგვიძლია ტურნირის დასრულება.

"ნამდვილად მქონდა იმედი, რომ დღეისთვის, სულ მცირე, 3-4 ქულით მეტი გვექნებოდა დაგროვილი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ჩვენთვის კარგი იქნება, თუ დარჩენილ მატჩებში 10 ქულას დავაგროვებთ და 12-ქულიანი შედეგით დავასრულებთ კვალიფიკაციას", - იმედს არ კარგავს არგენტინელი მწვრთნელი.

მატჩი კი, რომელშიც საქართველოს ნაკრები მიმდინარე ციკლში მეფიდე ცდაზე შეეცდება სამი ქულის აღებას, დღეს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 21 საათზე დაიწყება.

"ზორჯღალოსნები" პოზიციებს ინარჩუნებენ

საქართველოს სარაგბო ნაკრებმა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში 70.39 ქულა და მე-13 ადგილი შეინარჩუნა და იტალიის ეროვნულ გუნდს კვლავაც კვალში უდგას. გასულ უქმეებზე მსოფლიოში სანაკრებო მატჩები არ გამართულა. ასე რომ, ცვლილებები არც მოწინავე ნაკრებთა შორის მოხდარა.

რეიტინგის სათავეში სამხრეთ ნახევარსფეროს სამი გრანდია - ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ავსტრალია. ევროპელთაგან საუკეთესო შედეგი კი ირლანდიას აქვს.

1. ახალი ზელანდია	92.68
2. სამხრეთ აფრიკა	89.45
3. ავსტრალია	85.86
4. ირლანდია	83.27
5. არგენტინა	81.56
6. ინგლისი	80.96
7. უელსი	80.59
8. საფრანგეთი	79.94
9. ფიჯი	75.24
10. შოტლანდია	75.23
11. სამოა	72.57
12. იტალია	71.23
13. საქართველო	70.39
14. ტონგა	70.05
15. კანადა	69.12
16. იაპონია	68.05
17. რუსეთი	66.18
18. რუმინეთი	64.26
19. აშშ	63.55
20. ურუგვაი	62.78
21. პორტუგალია	62.16
22. ს.კორეა	59.02
23. ესპანეთი	59.01
24. ჩილე	56.84
25. ნამიბია	56.82
26. გერმანია	55.74

მოდებადე "ჩერნომორცში" დარჩება

საქართველოს ფეხბურთელთა 21 წლამდელთა ნაკრების ყოფილმა წევრმა ირაკლი მოდებადემ, რომელსაც ერთი მატჩი ეროვნულ გუნდშიც აქვს ჩატარებული, ოდესის ჩერნომორცთან კონტრაქტი გააფორმა და კლუბში სეზონის ბოლომდე დარჩება.

25 წლის მოდებადისთვის უკრაინის პრემიერლიგაში თამაში უცხო არ არის, რადგან 2002-2007 წლებში ის ზაპოროჟიეს მეტალურგის ღირსებას იცავდა და ჩემპიონატში ჩატარებულ 81 მატჩში 16 გოლი გაიტანა. უკრაინის პირველობის მომდევნო ტურში ჩერნომორცი სიმფეროპოლის ტავრიას ხვდება. დღეს გამართულ წვრთნაში მოდებადეს მონაწილეობა არ მიუღია, რადგან, გუნდის თავკაცის ვიქტორ გრიშკოს თქმით, ქართველს მცირე ტრავმა აწუხებს.

ქართველი ჩოგბურთელები რუსეთში, აშშ-ში, იტალიასა და თურქეთში ითამაშებენ

ქართველმა ჩოგბურთელებმა სოფო შაფათავამ და ოქსანა კალაშნიკოვამ რუსეთის დედაქალაქ მოსკოვიდან შორეულ ხანტი-მანსისკში გადაინაცვლეს, სადაც 50-ათასიან ტურნირში იასპარეზებენ. ორივე ქართველი ძირითად ბადეში მოხვდა. მე-7 ნომრად განთესილი შაფათავა რუს იულია კალაშინას შეერკინება, ხოლო კალაშნიკოვას მერტოქე ასევე მასპინძელი ვალერია მაქსიმენკო იქნება. წყვილთა ტურნირში შაფათავა და კალაშინა უკრაინულ არეფივასა და რუს მელნიკოვას ეთამაშებან, კალაშნიკოვასა და რუსი სავინიხის დუეტე კი მე-3 რეიტინგის მქონე თურქი ოზგენისა და რუსი კონდრატიევას ტანდემს დაუპირისპირდება. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კორტზე დაბრუნდა სალომე დევიძე, რომელიც აშშ-ში პელჰამის 25-ათასიან ტურნირში ჩაება.

კვალიფიკაციის პირველ რაუნდში დევიძემ კანადელი ლარისა გოროდეცკი 6:0, 6:1 დაამარცხა, შემდეგ კი მე-12 ნომრად განთესილ კანადელ მარი-ივ პელეტისთან 2:6, 2:6 წააგო.

ანა ტატიშვილი ძირითად ბადეში მე-6 ნომრად მიჩნეული. იტალიის ქალაქ ლატინაში დაწყებულ ტურნირში იასპარეზებს მაკა ჩახნაშვილი. ქართველი ჩოგბურთელი 50-ათასიანი გათამაშების ძირითად ბადეში რუს მარინა შამაიკოს ეთამაშება. თურქეთის კურორტ ანტალიაში იმყოფება სოფო ქვაცაბაია, რომელიც 10-ათასიანი გათამაშების პირველ რაუნდში რუს მარია ჟარკოვას გაეჯიბრება.

მარადონას ნეაპოლის ვალი აქვს

იტალიური მართლმსაჯულების მტკიცებით, არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიეგო მარადონა ვალდებულია ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებს 37 მილიონი ევრო გადაუხადოს. იტალიაში ცხოვრების პერიოდში ნაპოლის ყოფილ ფეხბურთელს გადასახადების სახით მხოლოდ 42 ათასი ევრო აქვს გადახდილი.

აზიატის ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა

იტალიური მილანის 31 წლის მეკარეს კრისტიან აზიატის მუხლის მყესებზე ოპერაცია გაუკეთეს. მილანელთა ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, მეკარემ მარტინი, სიენასთან მატჩში, სერიოზული ტრავმა მიიღო და მინდორს რამდენიმე თვით ჩამოშორდა.

ბილიჩმა "შალკეზე" უარი თქვა

ხორვატიის საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა გელზენკირხენის შალკეს ჩაბარებაზე უარი განაცხადა.

შალკეს წარმომადგენლები ჩემთან მოსალაპარაკებლად ჩამოვიდნენ და საინტერესო ვარიანტიც შემომთავაზეს. ჩემთვის გელზენკირხენელთა ინტერესი საპატიოა, მაგრამ ხორვატიის ნაკრების მიტოვებას არ ვაპირებ, - აღნიშნა ბილიჩმა.

თავის მხრივ, შალკემ ხორვატიის მოლაპარაკების ფაქტი უარყო, შემდეგ კი დააზუსტა, რომ ბილიჩი გერმანულ კლუბს მიმდინარე და მომავალ სეზონებში არ ჩაიბარებს.

შალკე თავაკაცის გარეშე მას შემდეგ დარჩა, რაც თანამდებობიდან დაითხოვა ფრედი რუტენი.

შეგახსენებთ, რომ გელზენკირხენელი კლუბის ლირსებას ქართველი ფეხბურთელები ლევან კობიაშვილი და ლევან ყენია იცავენ.

ვორონინის ტრანსფერი ჩემპიონთა ლიგის საგზურზეა დამოკიდებული

დარჩება თუ არა უკრაინის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ანდრეი ვორონინი ბერლინის შერტაში, გერმანული კლუბის მიერ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება-არმოპოვებაზე იქნება დამოკიდებული.

ამის შესახებ შერტას პრეზიდენტმა ვერნერ გეგენბაურმა სააგენტო SID-თან საუბარში განაცხადა. მისი სიტყვებით, ბერლინელები ფეხბურთელის ტრანსფერზე უკვე შეუთანხმდნენ ინგლისის ლივერპულს, რომელსაც ვორონინის სატრანსფერო უფლებები ეკუთვნის. უკრაინელის სანაცვლოდ მერსისაიდელები 4 მილიონ ევროს მიიღებენ, თუმცა ამ თანხის გასასტუმრებლად გერმანელებმა აუცილებლად უნდა მოიპოვონ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება, რაც კლუბის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტიაა.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის გარეშე ამ ტრანსფერს ვერ განვახორციელებთ, რადგან ვორონინის შესაძენი თანხა არ გვექნება, - განაცხადა გეგენბაურმა.

როსის იმედი

ესპანეთის პრემიერადივიზიონის კლუბ ვილიარეალის ფორვარდ ჯუზეპე როსის იმედი აქვს, რომ 2010 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, 1 აპრილს, ქალაქ ბარიში, ირლანდიის ნაკრებთან გასამართ მატჩში, იტალიის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში თამაში მოუწევს.

იმედი მაქვს, რომ ოთხშაბათს მწვრთნელი ისევ დამაყენებს ძირითად შემადგენლობაში. წინა მატჩიდან გამომდინარე, დალოლოლობას არ ვგრძნობ. ისლა დამრჩენია, შემადგენლობის გამოცხადებას დაველოდო. სქემა 4-4-2, რომელსაც ნაკრები იყენებს, ჩემს სათამაშო მანერას სრულად მიესადაგება. ვილიარელში მუდამ ასეთი ტაქტიკური მონახაზი გვაქვს და უკანდახეული ფორვარდის როლს ვასრულებ. თუმცა, მზად ვარ ვითამაშო ნებისმიერ პოზიციაზე, რომელზეც მწვრთნელი დამაყენებს, - აღნიშნა როსიმ.

გარდა ამისა, მან განმარტა, თუ რატომ გადავიდა სათამაშოდ ესპანეთში:

რატომ არ ვთამაშობ იტალიის ჩემპიონატში? ეს ჩემი შეცდომა არ არის. კლუბებმა, რომლებიც ჩემს ბედს წყვეტდნენ, საკუთარი არჩევანი გააკეთეს, ხოლო მე - ჩემი. მსიამოვნებს რომ იტალიური ფეხბურთი იცვლება. ახალგაზრდა მოთამაშეებს კლუბები მეტ სათამაშო დროს უთმობენ. ინგლისსა და ესპანეთში მსგავს რამეს უფრო ხშირად შეხვდები. მაგალითად, ბარსელონაში, სულ მცირე, სამი ფეხბურთელია 20 წლამდე, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის გამოდიან.

28 მარტს ჩერნოგორიასთან სტუმრად მოგებულ (2:0) მატჩში როსი გუნდის განაცხადში კი იყო, მაგრამ მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ჯდომით შემოიფარგლა.

ზორან ფილიპოვიჩი: "მხოლოდ მოსაბეზად ვითამაშებთ"

მიხილ აბაივილი

საქართველოს ეროვნული გუნდი თავისი არსებობის ისტორიაში პირველად შეხვდება მონტენეგროს ნაკრებს. მონტენეგრო ფიფამ სულ ორი წლის წინ გააწევრიანა თავის ასოციაციაში და მიმდინარე შესარჩევი ტურნირი ამ ქვეყნის ნაკრებისთვის ფიფას ეგიდით გამართულ ტურნირებში სადებიუტოა. ჩვენი არ იყოს, სპეციალისტთა მიერ გაცემული ავანსების მიუხედავად, ვერც ეს ბალკანური გუნდი ბრწყინავს: მონტენეგროს ჯერჯერობით 2 ქულა აქვს დაგროვილი, თუმცა ჩვენზე ორი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. იმ დროს, როცა საქართველოს ნაკრები კვიპროსში მარცხდებოდა, არც ყოფილ იუგოსლავებს ადგათ უკეთესი დღე. 28 მარტს მონტენეგრომ იტალიას უმასპინძლა და დამარცხდა - 0:2. დისკვალიფიკაციის გამო ამ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო მონტენეგროს ნაკრების ლიდერმა, გუნდის კაპიტანმა და იტალიის "რომას" თავდამსხმელმა ვუჩინჩიამ.

ზორან ფილიპოვიჩის კრებული თბილისში გუშინ ნაშუადღევს ჩამოფრინდა ჩარტერული რეისით, სასტუმროში მოეწყო და მაშინვე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონისკენ გაემართა, სადაც მატჩისწინა ვარჯიში ჩატარდა. მანამდე კი სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართა. მან იმედი გამოთქვა, რომ მისი გუნდი დღეს პირველი სამი ქულის აღებას შეძლებდა.

ზორან ფილიპოვიჩი: "მონტენეგროს ნაკრები პირველად მონაწილეობს ასეთ დიდ ტურნირში. თუმცა, ჩვენ სანამ შესარჩევ ციკლში ჩავემბეზობით, რამდენიმე ამხანაგურ თამაში ჩავატარებთ საქა-



ოლ ძლიერ მეტოქეებთან და გარკვეული გამოცდილება გვქონდა. სამწუხაროდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მიმაჩნია, რომ ორი ქულა, რომელიც მოვარგოვით არ ასახავს ჩემი გუნდის რეალურ ძალას. გამართლების შემთხვევაში უფრო მეტიც შეიძლებოდა გვექონოდა. იგივე შემთხვევაში ვთქვამთ საქართველოს ნაკრებზეც. ვნახე თქვენი გუნდის რამდენიმე თამაშის ვიდეოჩანაწერი და უნდა ვთქვა, რომ თუნდაც ირლანდიასთან გასვლით შეხვედრაში სამ ქულას იმსახურებდით. შემადგენლობასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები გვაქვს. ვერ ჩამოვიყვანეთ საკვანძო ფეხბურთელი მარკო ვუჩინიჩი, რომელიც ჩვენი გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენს. საქართველოს ნაკრებს პატივს ვცემთ, როგორც სერიოზულ მეტოქეს და ვიცი, რომ ხვალ მოსაგებად სათამაშოდ გადაიხვალთ. ჩვენც იგივეს ვაპირებთ.

თებ. დაცვას ავირჩევთ, თუ შეტევას ამას თამაში გვაჩვენებს. ვითამაშებთ ისე, როგორც ამის საშუალებას მეტოქე მოგვცემს".
რაც შეეხება ვარჯიშს, მან დაახლოებით საათნახევარს გასტანა. მთელმა გუნდმა, სამი დღის წინ განცდილი მარცხის მიუხედავად, კარგი განწყობით, ხალისიანად ივარჯიშა. არცაა გასაკვირი: სლავენ ვიტიჩის პირველ ნახევრებს დგამენ საერთაშორისო ფეხბურთში და, როგორც პრესკონფერენციაზე მათმა მწვრთნელმა თქვა, ეს შესარჩევი ტურნირი მისი გუნდისთვის, პირველ რიგში, გამოცდილების მიღების კარგი შესაძლებლობაა. 15-ნუთიანი მოთულება, ეგრეთ ნოდებული კვადრატი, ორმხრივი თამაში ნახევარ მოედანზე, რამდენიმე სეკუნდის კომბინაციების დახვეწა და კარგი დარტყმები - მონტენეგროს ნაკრებმა ბევრთადა შეასრულა ყველა ის სტანდარტული ვარჯიში, რა-

საც ნებისმიერი გუნდი მიმართავს მატჩის წინ.
"ჩემთვის ძალზე საწყენი იყო ის მარცხი, რომელიც იტალიასთან სამი დღის წინ განვიცადეთ. განსაკუთრებით იმაზე დამწყდა გული, რომ გოლი ვერ გავიტანე. ვეცდები ეს დანაკლისი საქართველოსთან შეხვედრაში ავანაზღაურო. თბილისში მოსაგებად ჩამოვედით, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მეტოქეს პატივს არ ვცემთ. საქართველოს ნაკრები კარგი გუნდია, რაც მის მიერ ამ შესარჩევ ციკლში ჩატარებულ მატჩებში გამოჩნდა. ეს გუნდი ადვილად არავის არაფერს დაუთმობს. თუმცა, ჩვენ მხოლოდ მოგება გვაძლევს საგზურისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსს და ამისთვის ყველა ღონეს ვიხმართ", - განაცხადა ვარჯიშის შემდეგ "ფიორენტინას" ფორვარდმა იოვეტოვიჩმა.

ჰან დერ სარს მანდელას ბაცნოზა სურს

მანჩესტერ ოუნაიტედისა და ჰოლანდიის ნაკრების მეკარეს ედვინ ვან დერ სარს მშვენიერი პერიოდი უდგას. ამ სეზონში ვეტერანი მეკარე ბრწყინვალე ფეხბურთის აჩვენებს. მან რამდენიმე რეკორდი დაამყარა, თუმცა პირადი მიღწევები რა მოსატანია, როდესაც მანკუნაინელებთან ერთად მას ამ სეზონში რამდენიმე ტიტულის მოგება შეუძლია. სერ ალექს ფერგუსონის გუნდი პრემიერლიგის მთავარი ფაფორიტია და ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც უშიზნებს. ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად ედვინმა ფაქტობრივად გაინაღდა 2010 წლის მუნდიალის საგზური.

ბრიტანული გამოცემის სანდი ტელეგრაფის კორესპონდენტმა ვან დერ სართან საუბრისას ფეხბურთის თემას გადაუხვია და მეკარის არასაფეხბურთე ცხოვრებას შეეხო.

- თანამედროვე ფეხბურთში თითქმის ყველა ნამყვან ფეხბურთელს აქვს მეტსახელი. ხომ არ გავვიხელოდით, ყველაზე ხშირად რა მეტსახელით მოგმართავენ თანაგუნდელები?

- მანჩესტერში უბრალოდ სახელით მომმართავენ, ეტყობა, ჩემს ასაკს სცემენ პატივს. განსაკუთრებული მეტსახელი არც ჰოლანდიის ნაკრებში მაქვს. ხანდახან უბრალოდ სარს მეძახიან.

- თქვენ, ისევე როგორც ყველა პროფესიონალ ფეხბურთელს, გადატვირთული გრაფიკი გაქვთ და განტვირთვა აუცილებლად გჭირდებათ. ყველაზე კარგად სად ისვენებთ?

- იტალიაში. ვკვირდები ამ ყვეყანაზე. ყველაფერს ალტაცებაში მოვყავარ. იტალიური კულტურა უძველესი და ძალიან საინტერესოა. მის ბოლომდე გაცნობას ერთი სიცოცხლე არ ეყოფა. ძალიან მიყვარს იტალიური სამზარეულო და უფრუბლო ცა. ერთხანს იუვენტუსში გამოვდიოდი და ტურნირში ვცხოვრობდი. ურიგო ქალაქი არ არის, მაგრამ რომს არაფერი შეეძლება.

- საყვარელი კინოფილმი?
- ნათლია.



ვან დერ სარისთვის მთავარი მონაპოვარი ოქახია

- მსახიობთაგან ვის გამოარჩევდით?

- ამაზე არც დავფიქრებდი - რა თქმა უნდა, ალ პაჩინო.

- რა სახის საქმიანობა განიჭებთ სიამოვნებას? რა თქმა უნდა, ფეხბურთის არ გვუღიანსებოთ.

- რთული კითხვაა. ჩემი დროის უდიდესი ნაწილი ფეხბურთის მიაქვს, დარჩენილ დროს კი ოჯახს ვუთმობ. ჩემი ბიჭუნა 10 წლისაა, გოგონა - 8-ის. ძალიან მიყვარს მათთან ერთად დროს გატარება. ვთამაშობთ ან სამინაო დაეალებს შესრულებას ვიხმარებ. ასე რომ, ჰობისთვის დრო თითქმის არ მრჩება. გამოგიტყდებით, გოლფი მიყვარს, მაგრამ უდროობის გამო იშვიათად ვახერხებ თამაშს.

- ფეხბურთელთაგან ვისთან მეგობრობთ?

- ძალიან მსიამოვნებდა, რუუდ ვან ნისტელროი იუნაიტედში რომ თამაშობდა. გუნდიდან მისი აბარგება და რეალში წასვლა განვიცადე. ვმეგობრობ ფრანკ ლე ბურთან - ჩვენ ერთად ვთამაშობდით აიაქსში. რუუდს და ფრანკს ხშირად ვესაუბრებ ტელეფონით.

- პროფესიიდან გამომდინარე,

არაერთ ცნობილ ადამიანს შეხვედრიხართ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ვინ დატოვა თქვენზე?

- ბედმა მარიალაც ბევრ საინტერესო პიროვნებას შემახვედრა. ყველაზე მეტად კი პრინც ჰარისთან ურთიერთობა და საუბარი მომეწონა. ლონდონის სამხრეთ-დასავლეთის ერთ-ერთ რესტორანში საღამო ერთად გავატარეთ და ძალიან საინტერესო დიალოგი გამოვკვივიდა.

- ავტომობილებიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

- ეს გარკვეულწილად ასაკზეც არის დამოკიდებული. მაგალითად, ახლა აუდი S-8 მზიბლავს. მიუხედავად იმისა, რომ ის საოჯახო მანქანად ითვლება, მაღალი სიჩქარის სწრაფად განვიტარებ შეუძლია და მეც დროდადრო ახალგაზრდობას ვიხსენებ ხოლმე. ადრე სწრაფად ტარება სიამოვნებას მანიჭებდა, ახლა - ნაკლებად.

- როგორ გაცონიათ, ახლობლებს თქვენი ხასიათის რა თავისებურება აღიზიანებთ?

- ცუდი თვისებები არ მაქვს... თუმცა, ძალიან ბევრს ვუყურებ ფეხბურთს და შესაძლოა ეს ვინმეს არ სიამოვნებდეს...

- ფეხბურთი რომ არა, რა პროფესიას აირჩევდით?

- ალბათ, სპორტული საქონლის მაღაზიის მენეჯერად ვაგებდებოდი.

- ყველაზე ძვირფასი რამ, რაც გავაჩნიათ

- არაერთი ჯილოდ მაქვს მოპოვებული, თუმცა ოჯახის ფასი არაფერია.

- უკვე თქვით, რომ არაერთ საინტერესო ადამიანს შეხვედრიხართ. კიდევ ვის გაცნობას ისურვებდით?

- ნელსონ მანდელასი. რამდენჯერმე მქონდა მისი გაცნობის შესაძლებლობა. 1996 წელს ჰოლანდიის ნაკრები სამხრეთ აფრიკაში ბაფანა ბაფანასთან სათამაშოდ ჩავიდა. ბიჭები მანდელას შეხვდნენ, მე კი იმ ტურნეში კლუბმა არ გამოშვა. შარშან მანჩესტერ ოუნაიტედი შავი კონტინენტის უკიდურეს სამხრეთს სტუმრობდა, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შეხვედრაში ვახლდით. თავის დროზე ნამყოფი ვარ კუნძულ რობენზე, სადაც მანდელამ ტუსალობის წლები გაატარა, ნაკითხული მაქვს მისი წიგნი, მხოლოდ მისი გაცნობაა დამრჩა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი

შესყიდვის ობიექტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის შენობების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავება

- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის შენობების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავების შესყიდვაზე 6 ლოტად.

- ცნობა საგადასახადო ორგანიზაციის ბიუჯეტის წინაშე დაფინანსების არარსებობის შესახებ;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შესყიდვის არ არსებობის შესახებ.
- სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	სატენდერო წინადადების ღირებულება	0,40
2	პრეტენდენტის ტექნიკური შესაძლებლობები	0,40
3	ანგარიშსწორების პირობები	0,20
სულ:		1,00

ლოტი №	ობიექტი	მისამართი
1	ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) ქობულეთის განყოფილება	ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №136
2	ფოთის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) ფოთის სერვის ცენტრი	ქ. ფოთი, კოკაის ხეივანი №1
3	ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) ზესტაფონის სერვის ცენტრი	ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №5
4	ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) სამტრედიის განყოფილება	ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
5	თელავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საგარეჯოს განყოფილება	ქ. საგარეჯო, ჯაფარიძის ქ. №2
6	შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის გეგმიური შემოწმების მთავარი სამმართველოს დახვედრის სამმართველო	ქ. ქუთაისი, თამარ მეფის გამზირი №85

- ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
- მომსახურების გაწევს ეძღვნება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
- პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს დასურველ კონკრეტულ 2009 წლის 22 აპრილის 9⁰⁰ სთ-დან 15⁰⁰ სთ-მდე, მე-16 პუნქტში მითითებულ მისამართზე.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - იურიდიული პირებისათვის:
 - ცნობა საგადასახადო ორგანიზაციის, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ;
 - აბონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
 - ფიზიკური პირებისათვის:
 - ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
 - როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
 - პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
 - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეესტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილხინდისიერ პირთა რეესტრში;

- სატენდერო წინადადებები არ წაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიც მათგანი ეძღვნება აღმოსწავლას ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მითითებულ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაცია მე-6 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
- მოცემული შესყიდვის ფარგლებში და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობაში სუბკონტრაქტორის მონაწილეობის შემთხვევაში სუბკონტრაქტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პრეტენდენტის მიმართ წინადადებაზე განცხადებით წაყენებული ყველა მითითება და წარმოადგინოს ყველა შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია.
- ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ (მე-15 პუნქტში აღნიშნული მისამართების გადახდის შემდეგ) 2009 წლის 1 აპრილიდან 09⁰⁰ სთ-დან 2009 წლის 21 აპრილის 18⁰⁰ სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, სატენდერო კომისიის აპარატი.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მისაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაიყენოს სატენდერო დოკუმენტაცია.
- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 22 აპრილს 15⁰⁰ სთ-ზე.
- ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უსრუფელყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
- შერწყმის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.
- აღტერნარტული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
- სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველმა პირმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მისაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მისაკრებელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის შენობების და მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავება, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბანკო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში ქვემოთ მითითებულ მისამართზე.
- ტენდერში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9 ტელ. - ფაქსი: (+995 32) 261-337, 261-335, საკონტაქტო პირი: ალექსანდრე თევდორაძე, ელ-ფოსტა: a.tevdoradze@mof.ge.

17.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი უ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

“ ო ფ თ ა ლ ვ ი ჯ ი ”

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქრავი საოპერაციო

ბლოკით

SLT-ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის უკანასკნელი

მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის

პედიატრიული სამსახური

მედიცინის

მეცნიერებათა დოქტორის,

პროფესორ ქეთევან

ბარაბაძის ხელმძღვანელობით

მთავაზობთ:

